# მხურვალე სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დელეგატებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 221 (12185) ოთხშაბათი, 27 სექტემბერი, 1961 წ.

ფასი 2 კაპ.



## პარტია — ჩვენი მესაჭე!

დღეს თბილისში იხსნება საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა. ეს უდიდესი ისტორიული მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში.

პარტია ჩვენი მესაჭეა — „კლასის ტვინი, კლასის საქმე, მისი დიდება".

„ჩვენი პარტია და ლენინი ტყუპნი არიან..."
ჩვენ ვამბობთ — ლენინ
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას
ვამბობთ —
პარტია
და ვგულისხმობთ —
ლენინი ჩვენი".

რევოლუციის მგზნებარე პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ეს სტრიქონები საბჭოთა ხალხის წმიდათა-წმიდა საგალობელია, გულწრფელი და სწორუპოვარი სიმღერაა დიადი პარტიის, ლენინის ძირსდაუხრელი დროშის სადიდებლად.

პარტიის ძალა მასებთან მჭიდრო კავშირშია. ეს კავშირი, ეს უძლეველი ძალა ყველაზე ნათლად ვლინდება პარტიის ყრილობებზე, რომლებზეც განიხილება მშრომელი ხალხის სასიცოცხლო, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამეურნეო საკითხები.

და აი XX ყრილობიდან ერთი წლისა და რვა თვის შემდეგ კვლავ შეიკრიბნენ ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტთა რჩეულნი საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობაზე.

რამდენი უმნიშვნელოვანესი მოვლენით არის აღსავსე ეს შედარებით მცირე, მაგრამ ეპოქის დარი დროის მონაკვეთი.

...ორი თვის წინათ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტი. ამ ისტორიულმა მარქსისტულ-ლენინურმა დოკუმენტმა აამოძრავა მთელი კაცობრიობის გონება და გული. პირველად მუშათა მოძრაობის მთელი ისტორიის მანძილზე პარტიის ახალი პროგრამის პროექტში დასახულია კომუნიზმის აშენების მეცნიერულად დასაბუთებული, კონკრეტული გეგმა.

...ჩვენი ხალხის უდიდეს შემოქმედებითს პოტენციალს, სოციალისტური წყობილების უდავო უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა ადამიანების მიერ კოსმოსის დაპყრობის ერის დასაწყისი. კომუნისტებმა იური გაგარინმა და გერმანე ტიტოვმა ჩაიდინეს უმაგალითო გაბედულობისა და გაუგონარი გმირობა, რომელიც მარად იცოცხლებს კაცობრიობის ხსოვნაში.

...წელს თებერვალში თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. გავიდა კიდევ რამდენიმე თვე, და მაისში ქართველმა ხალხმა უდიდესი სიამაყის გრძნობით შეაჯამა ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი ორმოცი წლის შედეგები. ამ ზეიმის დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცეს იმ წვლილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის საერთო წარმატებებში შეაქვთ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს.

ყველაფერმა ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აღმავლობაში.

შვიდწლედის განვლილ ორ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 15 პროცენტით ნაცვლად საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 12 პროცენტისა. საერთო პროდუქციის მატების წლიური ტემპი შეადგენს 7,2 პროცენტს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5,9 პროცენტისა. წარმატებით შრომობენ ჩვენი მრეწველობის მუშაკები შვიდწლედის მესამე წელსაც. საერთო პროდუქციის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ განვლილ რვა თვეში 103 პროცენტით შეასრულა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მუშაობაში, საქართველოს დიდ ზეიმში, მისმა საუბრებმა სოფლის მეურნეობის მუშაკებთან, რჩევა-მითითებებმა კიდევ უფრო აღაფრთოვანეს კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად.

ამჟამად დიდი მუშაობაა გაჩაღებული ჩაის, ყურძნის, სიმინდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის ასაღებად. ამოცანა ის არის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო, სწორად გავანაწილოთ ძალები, სრულყოფილად ავამოქმედოთ ტექნიკა, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ პირნათლად გამოვიდეთ ხალხისა და პარტიის წინაშე, ღირსეულად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებები და გამარჯვებული შევხვდეთ სკკპ XXII ყრილობას.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს წარმატებებს, რაც ჩვენმა საბჭოთა მეცნიერებამ მოიპოვა, აგრეთვე მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, მათი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, აგრეთვე სხვა სამეცნიერო-საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან, რათა გადაჭრან სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის განვითარების უმნიშვნელოვანესი თეორიული პრობლემები, ფართოდ დანერგონ მეცნიერების მიღწევები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

უკანასკნელ წლებში საშუალო და უმაღლესი განათლების კანონის წარმატებით განხორციელებამ დადებითი შედეგები მოგვცა და ერთხელ კიდევ დაადასტურა რომ სწორი და დროული იყო პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ახალგაზრდა თაობის შრომითი აღზრდის შესახებ. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ წარმოებაში მუშაობა, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა უახლესი მიღწევების გაცნობა, სისტემატური ურთიერთობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლებთან აწრთობს მოსწავლე ახალგაზრდობას, უფართოებს ჰორიზონტს, აჩვევს დისციპლინას, ეხმარება უკეთ აითვისოს თეორიული კურსი და მოწინავე იყოს სწავლაში.

სკკპ პროგრამის პროექტი სახავს საბჭოთა კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აყვავების ფართო პროგრამას. „კომუნიზმის კულტურა, — ნათქვამია პროგრამის პროექტში, — რომელმაც შეიწოვა და ავითარებს ყოველივე საუკეთესოს, რაც მსოფლიო კულტურას შეუქმნია ახალი, უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის კულტურის განვითარებაში". ეს დებულება უდიდესი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენს მწერლებს, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს, რომელთა თემატიკაში ამ უკანასკნელ ხანს მტკიცედ დამკვიდრდა თანამედროვეობა და შეიქმნა მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, ინტელიგენციის ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი მთელი რიგი ნაწარმოებნი.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია თავის მორიგ ყრილობას ეგებება მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ამას ერთხელ კიდევ დამაჯერებლად მოწმობს საანგარიშგებო-საარჩევნო კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციები, რომლებიც კომუნისტების პოლიტიკური აქტივობის, პრინციპული, საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით მოეწყო.

სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტების მოთხოვნილებათა შესაბამისად დიდი ყურადღება დაეთმო პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების შემადგენლობის გაუმჯობესებას, მნიშვნელოვნად განახლდა პარტიული კომიტეტების, პარტიული ბიუროების, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების წევრთა შემადგენლობა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის რიგები შეივსო საზოგადოების მოწინავე წევრებით, კომუნიზმის აქტიური მშენებლებით, უმთავრესად ადამიანებით, რომლებიც თავიანთი შრომით მატერიალურ დოვლათს ქმნიან.

მხოლოდ სამი კვირა გვაშორებს იმ ისტორიულ დღეს, როცა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მუშაობას დაიწყებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. ყრილობა შეაჯამებს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგებს, განიხილავს და მიიღებს სკკპ ახალ პროგრამასა და წესდებას, დასახავს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების კონკრეტულ გზებს.

ამ უდიდეს, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას მთელი ჩვენი ხალხი ხვდება ერთიანი მონოლითური, მჭიდროდ შეკავშირებული ლენინის დიადი პარტიის გარშემო, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

პარტიისა და ხალხის ამ მონოლითობის, ერთიანობისა და მჭიდრო კავშირის ნათელი დემონსტრაცია იქნება საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა.

## საქართველოს კპ XXI ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა

გაიხსნება დღეს, 27 სექტემბერს, დილის 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი



მხატვარი ქ. მახარაძე.

## მიიღე, სამშობლოვ, ეს საჩუქრები

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მაღაროთა კოლექტივებმა ცხრა თვის გეგმა 25 სექტემბრისათვის შეასრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 20 ათასი ტონა სათბობი.

თბილისის მეჩქმსე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა რვა თვეში დაზოგა 5.073 კვადრატული მეტრი შალის ქსოვილი და 8.800 კვადრატული მეტრი სასარჩულე ქსოვილი. დაზოგილი მასალით გამოუშვა 1.260 მამაკაცის კოსტიუმი.

რუსთავში 26 სექტემბერს მუდმივ გამოყენებაში ჩართეს მინერალური ბამბის ქარხნის ღუმელი. თავისი კონსტრუქციით ის ერთადერთია საბჭოთა კავშირში. ღუმელი ბუნებრივი გაზით მუშაობს.

აჭარის ასსრ მეთამბაქოეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 320 ტონაზე მეტი თამბაქო, რითაც სექტემბრის დავალება 188 პროცენტით შეასრულეს.

ხულოს რაიონის სოფლების ყინჩაურის, აგარის, ღურტის; შუახევის რაიონის ნენიის, საშოლეთის, ოლადაურის; ქედის რაიონის ზვარეს, წონიარისის კოლმეურნეობები ახლა წარმოებას ოქტომბერ-ნოემბრის ანგარიშში აბარებენ ხმელ თამბაქოს.

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის 9 თვის გეგმა — 1.099 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.100 ტონა ხორცი, 3.690 ტონა რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.647 ტონისა.

დიდი გადამეტებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ყურძნის, ხილის და სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები. შესრულებულია ყველა სახის პირუტყვის სულადობის გეგმა.




## კარი მესამე

Რვანი იყვნენ: შვიდი გურული და ერთი გურული ქალი. ხელები კვამლით ჰქონდათ გაშავებული. მამაკაცებს ბლუზები და ქალს კაბა შემოგლეჯილი ჰქონდათ. მიწაზე ჩაბალახებში ვაზნები ეყარა. ტყვიით გახვრეტილ დოქს წყალი სდიოდა. ანთებული თვალებით გასცქეროდნენ ნისლოვან სივრცეს.

ნასაკირალი! ეს არ იყო მარტო მთა ან უღელტეხილი. ეს იყო რაღაც უფრო მეტი, ეს იყო სოფლების ციხე-სიმაგრე და გლეხთა იმედი. ეს იყო მომავალი.

და ეს იყო 1905 წელს. მისმა ალმა გურიას გადაუარა და ნასაკირალზე ამ მიწის ფერის ალმად აფრიალდა, ალბათ იმიტომ იყო ისე წითელი, რომ ხალხის სისხლით გაიჟღინთა. ხალხმა თქვა: „პური და თავისუფლება!" დამსჯელი ჯარების სარდალმა გენერალმა სულთან კრიმ-გირეიმ უპასუხა: „ესროლეთ!"

წინადლით ბრძოლა მოხდა. ასობით კაზაკი და „სტრაჟნიკი" ჩოხატაურისაკენ გაიჭრა. ნასაკირალზე აჯანყებულებმა ჩასაფრება მოუწყეს. იქ მათ გაბედულად შეუტიეს მტერს, ზოგი დახოცეს, ზოგი კი გააქციეს. პოლკოვნიკის სამხრეულზე ტყვია მოხვდა ორთავიან არწივს. ყოველ წუთს შეიძლებოდა ამ მთასთან კვლავ მოსულიყო მტერი.

შვიდი გურული და ერთი გურული ქალი ნასაკირალზე გუშაგად იდგნენ. ანთებული თვალით გასცქეროდნენ ნისლოვან სივრცეს.

მათს წინაშე გადაშლილიყო გაუბედურებული და ღარიბი გურია, მაგრამ სიამაყის წართმევა კი მისთვის არ შეიძლებოდა. ამიტომ მტერმა მის გულს დაუმიზნა. გარშემო ბორცვები დაფარული იყო ხვიარა მცენარეებით დაბურდული ტყეებით. ტყეებში გადიოდა ბილიკები, რომლებითაც ძვრომა შეეძლო მხოლოდ ნაცად მხეცს.

ადამიანებს არ სურდათ ასე ცხოვრება და არ ნებდებოდნენ. შვიდთაგან ერთ-ერთმა თვალები ხელით დაიჩრდილა. ოზურგეთიდან ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ნასაკირალისაკენ ორი ქვეითი ბატალიონი. მათ ლაშქრული წესით მოჰყვებოდნენ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმები.

ნასაკირალიდან იგრიალა პირველმა ზალპებმა. მათი ხმა მისწვდა ზამთრის სასახლეს. მეფემ გურიაში გამოგზავნა „მშვიდობიანი" გენერალი. ხალხმა მოითხოვა: „პური და თავისუფლება!"

ისინი რვანი იყვნენ: შვიდი გურული და ერთი გურული ქალი. ნასაკირალზე ისინი სამარადისოდ აღბეჭდილი არიან ბარელიეფზე. ობელისკი აღმართულია ამაყად დაბლობის თავზე. მის ფილებს მზრუნველურად დაუფარავთ მიწა, რომელიც მორწყულია იმათი სისხლით, ვინც თავისი ტანით დაფარა გურიის გული.

ნასაკირალიდან, საითაც უნდა გაიხედოთ, ბორცვები მოჩანან. ხალხის ნების წინაშე ხვიარებით დაბურულმა ტყეებმა მთაგრეხილებისაკენ დაიხიეს უკან. მათს ადგილზე მოვიდნენ ჩაის პლანტაციები, მწვანე ხავერდით ტალღოვან ხაზებად რომ ეშვებიან ზღვისაკენ...

Რას ფიქრობდა ეს მსუქანი კაცი მეოთხე მანქანაში? იმას ხომ არა, რომ პირველი სამი მანქანა ნელა მიდიოდა და ალპებამდე კიდევ ძალიან შორს იყო? ან, იქნებ, სს-ლების ერთგულებაზე, რომლებიც თან ახლდნენ? იქნებ იმაზე, რომ ოქროს ზოდებს, რომლებიც თან მიჰქონდა, შეუძლიათ დაუბრუნონ მას ძალაუფლება იტალიაში და მსოფლიო ბატონობის პრეტენზია?

ოქროს ზოდები! მათ ჩააყენეს იგი ხელისუფლების სათავეში 1922 წელს. ოქრომ მისცა მას განუსაზღვრელი ტერორის ვიზა. მან აღმოფხვრა დემოკრატიული თავისუფლებანი. ოქრომ განგმირა ეთიოპიის გული და დააბრმავა ალბანეთი. ავიაბომბებად გადამუშავებული ოქრო თავს დაატყდა რესპუბლიკურ ესპანეთს. მან, ბოლოს, შეაერთა იგი ფიურერთან. ოქრო ყოვლად ძლიერი იყო. და ახლა იგი თან ახლდა.

ამ დროს ქვებმა, გზაში რომ იყო დაყრილი, მანქანები აიძულა მკვეთრად დაემუხრუჭებინათ... ვიღაცამ მბრძანებლურად გამოაღო მისი მანქანის კარი: „ბატონო მუსოლინი, იტალიის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის ბრძანებით დაპატიმრებული ხართ!"

მუსოლინიმ ისურვა გაეგო, ვინ იყო ეს კაცი, რომელმაც ესოდენ გადაჭრით შეუცვალა მანქანისა და ცხოვრების მარშრუტი. ეს იყო იტალიაში თავისუფალი პარტიზანული რაზმის უფროსი ქართველი მხედარი კოტე ლეჟავა, რომლის თავიც დაფასებული იყო ოქროს მთებად და რომელიც ირიცხებოდა „ყველაზე საშიშ დამნაშავეთა" სიებში და დაუსწრებლად მისჯილი ჰქონდა სიკვდილი. და ახლა დუჩეს ოქროს მთები უნდა მიეცა ამ კაცისათვის თავისი თავის გამოსასყიდად.

მუსოლინიმ მიუთითა ბრეზენტით დახურულ ავტომობილზე და უთხრა: „ეს მანქანა ტვირთიანად თქვენი იქნება". „საჩუქრისათვის გმადლობ", — მსუბუქი ირონიით მიუგო კოტე ლეჟავამ, თვალებში ნაპერწკლები დასცვივდა. იქნებ მისი ხსოვნა შეაშფოთა იმ რვამ. შვიდმა გურულმა და ერთმა გურულმა ქალმა. იქნებ იმ ქალის გვარიც ლეჟავა იყო? იქნებ გურულებს აგრეთვე უწოდებდნენ „მოუსყიდველებს"? პარტიზანული რაზმის უფროსმა მკაცრად გაიმეორა: „ბატონო მუსოლინი, დაპატიმრებული ხართ".

მუსოლინის უკვირდა: წარმოუდგენელია! ამ ქართველმა ოქრო უარყო. ეს შეუძლებელი იყო! ეს არღვევდა მსოფლიოს მართლწესრიგს! რა შეიძლება დაუპირისპიროთ ოქროს, მის ძალაუფლებას?! მის ძალას?! რა?! სდუმდნენ ალპები...

კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო გახდა პრეს-კონფერენცია. იგი გაიმართა მახარაძის რაიონის ფარგლებში, რომელიც დასავლეთით შემოხაზულია შავი ზღვის სანაპიროთი და აჭარის მთებით, აღმოსავლეთით კი — მდინარეების ბახვისწყლისა და სუფსის სათავეებით.

პრეს-კონფერენციას მეთაურობდა 1961 წელი, რომელიც საბჭოთა ხალხის სრული ნდობით სარგებლობს.

ჩვენ ვისარგებლეთ ვახტანგ ზაქარიას-ძე თოხაძის მიწვევით და ადგილი დავიკავეთ მაღლობზე, სადაც შემოქმედის მონასტერია.

1961 წელმა გამოაცხადა: „მეგობრებო! ამხანაგებო! ბატონებო! ნება მიბოძეთ გახსნილად გამოვაცხადო პრეს-კონფერენცია, რომელიც ეძღვნება თემას „ოქროს ფასი".

ვიცოდით, რომ მონაწილენი ამ არაჩვეულებრივი პრეს-კონფერენციისა, თვით ცხოვრებამ რომ მოიწვია, იყვნენ სოციალისტური გურიის ყველა მშრომელი, საფაბრიკო საწარმოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკები. სსრ კავშირის პრესის და უცხოეთის მრავალი გაზეთის კორესპონდენტები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, მეგობრები და მტრები.

ამხანაგმა თოხაძემ გვითხრა: „ჩვენი ხალხის ფსიქოლოგია გაუგებარია ეგრეთწოდებული თავისუფალი სამყაროსათვის, რომელიც სავსებით დამოკიდებულია კაპიტალსა და შემოსავალზე. როცა ჩვენი მეჩაიეები და მესიმინდეები გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს, ისინი გამსჭვალული არიან ერთი გრძნობით, გმირობის ჩადენის წყურვილით. აიღეთ თუნდაც ჩვენი ლეილა".

თავმჯდომარე: „სიტყვა ეკუთვნის ჩაის წარჩინებულ მკრეფავს ლეილა მალულარიას. მისი ტრიბუნაა კოლმეურნეობა „საქართველო", სოფელი ნაგომარი".

Გმირობის ჩამდენი კაცი ერთბაშად ხდება თვალსაჩინო. მისდამი მიპყრობილია ჩვენი ქვეყნის თვალი. ლეილა მალულარიამ მიიღო ღირსსახსოვარი დეპეშა:

**„სულითა და გულით გილოცავთ შესანიშნავ მიღწევას — ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებას. თქვენ წარმატებით აიღეთ დიადი შვიდწლედის მესამე წლის პირველი ზღუდე — სამშობლოს მიეცით 5.515 კილოგრამი „მწვანე ოქრო".**

**თქვენი შრომისმოყვარეობა და შემართება ჭეშმარიტად მაგალითია ყველა მეჩაიესათვის. იგი მათ ასწავლის, თუ როგორ უნდა იბრძოლო ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.**

**ღრმად დარწმუნებული ვარ, ძვირფასო ლეილა, რომ წარმატებით შეასრულებთ ნაკისრ ვალდებულებას — მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას უპატაკებთ 15.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფის შესახებ.**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი**
**ვ. მჟავანაძე".**

ჩვენ ვნახეთ, თუ რა მღელვარებამ, რა სიხარულმა მოიცვა ლეილა. მხარზე ედგა ჩვეულებრივი კალათი, ხოლო გეგონებოდა მხრებზე ფრთები ასხიაო. აი თავს გადაუფრენს ხუჭუჭა ჩაის პლანტაციებს, სუფსას, ისეთსავე ჩქარ მდინარეს, როგორიც თვითონ ლეილაა, და ქალაქ მახარაძეს, რომელმაც თავისი მავთულებით მიიღო მისალმების მაღალი სიტყვები!

...ხოლო ჯერ კიდევ ორმოცდახუთი წლის წინათ ნაგომარში ნაღვლიანად მღეროდნენ... და წელებზე ფეხს იდგამდა ლეილას მამა ერთი მუჭა ღომისათვის...

„ავრორას" პროჟექტორმა სამარადისოდ გადაუსვა ხაზი საშუალო საუკუნეების ბარონებისა და ნიცშეანელი ფილოსოფოსების თქმულებას: „ადამიანი ადამიანისათვის მგელია".

და ადამიანმა იგრძნო, რომ თავისუფალია რაღაც ჯადოსნური ბორკილებისაგან, საუკუნეთა კოშმარისაგან...

1931 წელი.

ეს იყო საოცარ გარდაქმნათა წელი. კოლმეურნეობის ჯერ კიდევ შეუღებავ ჭიშკარში ლეილას მამამ შეიყვანა ორი ხარი, რომელთაც მიჰქონდათ ურემი და გუთანი. მან კოლექტიურ მეურნეობას გადასცა არა მარტო მთელი ქონება, არამედ განუზომლად უფრო მეტი რამეც: რწმენა ახალი წყობილებისადმი, ისეთი რწმენა, რომელიც არ ექვემდებარება არც მტრული ძალების ზეგავლენას და არც ცვალებად გარემოებებს. იგი აირჩიეს ამ კოლმეურნეობის პირველ თავმჯდომარედ, ჯერ კიდევ სუსტი და უძლური კოლმეურნეობისა, როგორც ბავშვი, რომელიც ეს არის იწყებს ფეხის გადადგმას. თავდაპირველად დაიწყეს ტყის ამოძირკვა, ხეხილის ბაღების გაშენება, სიმინდის ნათესების გაფართოება, მეურნეობაში შემოიღეს მეაბრეშუმეობა, გაჩნდა პირუტყვი... და აქ მთის კალთებზე ამაყად და საზეიმოდ გაჩნდნენ ჩაის პირველი ბუჩქები. 1935 წელს მოვიდა ჩაის პირველი მოსავალი. მოვიდა ჯერ კიდევ იმ მებრძოლის მოკრძალებული სახით, რომელიც მოწოდებულია ხალხის სამსახურისათვის. ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ თუ ფოთოლი ადვილად ისრისება, მაშასადამე, მეტად ნაზია და ეს კარგია, და თუ ფოთლის ნაპირები ძირს არის მოღუნული, ესეც კარგია, მაგრამ იცოდნენ სხვა რამ: კოლმეურნეობის პატარა პლანტაციები სამამულო ჩაის დიდ ერას იწყებდნენ.

დამწყებთა გზა იოლი როდია. ლეილას მამა შემდგომ მოსავალს ვეღარ მოესწრო, მწვანე ესტაფეტი სხვას გადასცა და სამუდამოდ ჩამოშორდა ცხოვრების ბილიკს. ლეილა დაობლდა, როცა სულ ორი წლისა იყო.

Ლეილა მალულარიას ეზოში წრიულად დგას 16 ხე. მათ ანდობდა ლეილა თავის ფიქრებს ბავშვობაში და ისინი გახდნენ მის სასახელო საქმეთა მოწმენი აწმყოში. მის ეზოს ეკვრის გაპიროვნებული ჩაის პლანტაცია. უცქერი ამ კოხტად, თანაბრად შეკრეჭილ ბუჩქებს, რომლებსაც ამძაფრებს წითელი მიწის იერი, და ტკბები, თითქოს შენს წინაშეა ნიჭიერი მხატვრის ნაწარმოები. საკვირველი საქმეა!

მაგრამ ყოველი ნაწარმოები, რამაც თქვენი თვალი მიიპყრო, და რაც თქვენს გულს აძგერებს, მუდამ ყოფილა სულიერი და ფიზიკური ძალების უდიდესი დაძაბვის შედეგი. არც მეჩაიეს შრომაა იოლი.

უკვე ექვსი წელიწადია, რაც ლეილა მალულარია კოლმეურნეობა „საქართველოს" ჩაის პლანტაციებში მუშაობს. 1960 წელს მისთვის მიჩენილ 0,7 ჰექტარ პლანტაციაში მოკრიფა 12.298 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ვეგეტაციური პერიოდი ჩვენს სუბტროპიკებში გაცილებით მოკლეა, ვიდრე, მაგალითად, ინდოეთში, სადაც ჩაის ფოთოლს კრეფენ სულ ცოტა 10 თვის წელიწადში. ლეილამ თავის კალათში ეს მწვანე ჩანჩქერი იმიტომ მოაქცია, რომ ხალხს, რომლის ნაწილიც იგია, ესაჭიროება მისი შრომის შედეგი. იავაზეც კი ყველაზე უკეთესი მკრეფავი დღეში კრეფს არა უმეტეს 4-6 კილოგრამისა, იმიტომ რომ მისი შრომის შედეგით დაინტერესებულია მხოლოდ პლანტაციის პატრონი, რომელიც მის ენერგიას აქცევს პირადი გამდიდრების წყაროდ, სწორედ იმ ოქროდ, რომელზეც ესოდენი მაღალი აზრისა იყო ბენიტო მუსოლინი.

1961 წელს ქართველმა მეჩაიეებმა იკისრეს დიდი ვალდებულება — სამშობლოს მისცენ 165.000 ტონა ჩაი. ეს მეტად დიდი ციფრია. სარეკორდოა საქართველოს რესპუბლიკისათვის. მაგრამ ვინ დაეჭვდება, რომ ჩაის პლანტაციების მშრომელები თავიანთ სიტყვას არ შეასრულებენ?

ლეილა მალულარიამ მეტად ლაკონიურად დაამთავრა თავისი გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე:

„დღეს მეტად ბედნიერი ვარ. ვალდებულება შევასრულე: მოვკრიფე და სახელმწიფოს ჩავაბარე 15.017 კგ მწვანე ოქრო. ყრილობისათვის დამატებით 1.000 კგ-ს მოვკრეფ. სულ 16.000 კილოგრამს".

გმირობის ჩადენის წყურვილი! რა მშვენივრად ჟღერენ ეს სიტყვები.

გაგვახსენდა ე. ჰემინგუეის რომანი „ქონა და არქონა". მსოფლიოს მგლურმა კანონმა — „გქონდეს" — აიძულა ჰარი მორგანი გამხდარიყო მგელი — ერთეული, რომელიც ღმუის მგლების ხროვის წინააღმდეგ... და სიკვდილამდე მხოლოდ რამდენიმე წუთით ადრე იგი მიხვდა: „ერთი ადამიანი უძლურია; ახლა არ შეიძლება, რომ კაცი მარტო იყოს, სულერთია ერთი კაცი სრულიად ვერაფერს ვერ შეძლებს".

გვგონია, რომ დღე-ღამეში არ არის ისეთი საათი, როცა ლეილა მარტოდ გრძნობდეს თავს...

ახლა ისინი შვიდნი არიან: ექვსი გურული და ერთი გურული ქალი, ექვსი ძმა და ლეილა. ცხოვრების გზებმა ისინი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა: ზოგი არმიაში მსახურობს, ზოგი მუშაობს, სწავლობს...

ლეილას ჰყავს კიდევ დობილები. ისინი შეაერთა შრომამ. იზოლდა ცინცაძე და სულიკო მელუა, თინა მელუა და მაშო დოლიძე! ერთ დილას რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შალვა ვლადიმერის-ძე სარიშვილმა გაგაღვიძოთ და ხელში დაუნახოთ მზით სავსე ყანწი, იცოდეთ, რომ დადგა დრო მიულოცოთ ლეილას ოჯახს, სადაც შევიდა კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი. და მაშინ: სამშობლოს დასაცავად კვლავ დადგებიან შვიდი გურული და ერთი გურული ქალი.

ქება-დიდება ქართველ ქალებს, რომლებმაც თავიანთი ენერგია მოანდომეს მეჩაიის მძიმე შრომას! ყოველგვარ ამინდში: თავსხმა წვიმასა და მწველ მზეში უნდა კრიფონ მწვანე ფოთოლი, ნაზი მხოლოდ თავისი დაბადების პირველ დღეს. მათი ერთადერთი „იარაღია" საკუთარი ხელები, ხოლო ერთი კილოგრამი ჩაი შეიცავს ათასობით ორფოთლიან დუყს. აბა დაფიქრდით, რამდენი მილიონი დუყი უნდა მოკრიფოს ლეილა მალულარიას ხელებმა, რომელიც სეზონში 12 ტონაზე მეტ ფოთოლს კრეფს!

ალექსი ტოლსტოი ამბობდა: „მთელი პათოსი მომავალშია. ყოფის ამაოებიდან — მწვერვალებისაკენ, სალოსის ნიღაბიდან — გმირი ადამიანებისაკენ".

„ჩაის" გურიამ სწრაფად განვლო ეს გზა. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ „მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის სასახლის მიმწოდებლებს" ძმებს კ. ს. პოპოვებს აქ ჰქონდათ თავისი მაღაზიები, რომლებშიც ვაჭრობდნენ მხოლოდ კუნძულ ცეილონის ან ჩინურ ბაიხაოს ჩაით. ახლა კი დღითი-დღე ძლიერდება გურიის „მწვანე მარგალიტის" გვარდიის ძლიერება, რომელიც გაბედულად მიიწევს მწვერვალისაკენ და რომლის სახელია სიუხვე!

ლეილა მალულარიას, იმ ადამიანის გამოსვლით, რომელმაც ოქროს შრომა დაუპირისპირა, დამთავრდა პრეს-კონფერენციის პირველი დღე.

Ასლამაზი ასე ოდითვე უწოდებენ სიმინდს ქართველები. და არა იმიტომ, რომ იგი ლამაზია.

სიმინდი ადამიანებს შველოდა გასაჭირში, მაგრამ ამ მადლიანი კულტურის დასათესად საჭიროა მიწა. მერე რა მიწა ჰქონია ოქტომბრის რევოლუციამდე გურულ გლეხს? ცუდი და არა უმეტეს 0,35 დესეტინისა. ეს მეტისმეტად ცოტა იყო. 0,35. ამ ციფრთან დაკავშირებული იყო წარმოდგენა შიმშილზე, უბედურებაზე, უკმაყოფილებაზე, აჯანყებაზე.

იერიში არ შეიძლებოდა არ მომხდარიყო! ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, როცა სოფელ ძიმითში კალისტე ანდღულაძის ძველ სახლში ვიყავით.

იმ ძველი სახლის გვერდით, რომელიც გადაქცეულია თავლად და აბრეშუმის ჭიების სადგომად, აღმართულია მახარაძის რაიონის წარჩინებული მესიმინდის კალისტე იულონ-ძე ანდღულაძის ახალი ორსართულიანი სახლი.

კალისტე ანდღულაძემ ძველი სახლის კარში გვიჩვენა ტყვიის ნახვრეტი. ჩვეულებისამებრ, ეს ტყვია გაისროლა ვაჟის დაბადების აღსანიშნავად. და ამავე დროს, ვფიქრობთ ჩვენ, ეს ტყვია ესროლა ძველ ცხოვრებას, რომელიც გამოხატული იყო საშინელი ციფრით: „0,35".

მანძილი ძველ და ახალ სახლს შორის ათ ნაბიჯს არ აღემატება. მაგრამ ეს მანძილი ამავე დროს აღნიშნავს უდიდეს გზას, რომელიც კალისტე ანდღულაძემ განვლო.

დაიბადა იგი სოფელ ძიმითში, ოჯახში, სადაც იყო ცხრა შვილი. აქ ტყე ახრჩობდა ადამიანს. ხვიარები ისე იყო გადმოკიდებული ხეებზე, როგორც მწვანე გველები...

გაიზარდა, დაიწყო ტყის ამოძირკვა, ტყეს წაართვა ერთი ჰექტარი, ააგო უფანჯრო ქოხი და კერაზე ჩამოკიდა „ოჯინჯალი". მიწის დამუშავება არ შეეძლო: მშიერი ხარი ტყის ამოძირკვის შემდეგ ძლივს იდგა ფეხზე. კალისტე წავიდა ოზურგეთის მაზრაში სახეტიალოდ.

„და უეცრად გავარდა მეხი. 1921 წელს, განაგრძობს კალისტე ანდღულაძე, გაზაფხული მოვიდა. მხოლოდ ნოე რამიშვილი ცდილობდა შეეჩერებინა ჭექა-ქუხილი. ჭექა-ქუხილი კი ათასობით ხიშტს ულერებდა ძირს, დედამიწას. მენშევიკი მინისტრი ოზურგეთში შეჩერდა: „ასე და ასე, დროებით ვიხევთ უკან... ინგლისი, საფრანგეთი დახმარებას გაგვიწევენ"... „და გაეჩქარა უცხოეთის კრეისერზე..." დაიწყო ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია — გაიფანტა ნისლის პირველი ფენა, რევკომმა მოქმედება დაიწყო... ამუშავდა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. მივიღე 3.000 კვ. მეტრი მიწა. სიმინდის მოყვანა დავიწყე"...



ლეილა მალულარია

• • •

ახალ სახლამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა. სოფელ შემოქმედში, ფილიპე მახარაძის სახლ-მუზეუმში, მის კაბინეტში ჰკიდია თითბრის ფარი, რომელზეც გამოსახულია ბრინჯაოს ხმალი და წარწერილია: „ფილიპე იესეს-ძე მახარაძეს ხალხის მტრების დასაშინებლად". აქ გავიცანით ფილიპე მახარაძის სიტყვა, წარმოთქმული 1929 წელს სოფელ ძიმითში. მან მოუწოდა გლეხებს შესულიყვნენ კოლმეურნეობაში.

მანძილი ძველ სახლსა და ახალს შორის კვლავ თვალწინ დამიდგა. კალისტემ თანასოფლელებს მიმართა, როგორც ჯარისკაცებს მიმართავენ ხოლმე იერიშის წინ. და პირველმა მოუწოდა ყველას შესულიყვნენ კოლმეურნეობაში.

გადაიდგა უკანასკნელი ნაბიჯი ახალი სახლისაკენ.

ჩვენი ქვეყნის იარაღი სამუდამოდ გადავიდა ხალხის, გურული მიწა-წყლის ნამდვილი დამცველის ხელში. ამისაკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა მეფე ირაკლი მეორის ხმალმაც გაკაფა.

1770 წლის 20 აპრილს დამთავრდა ასპინძის ომი. აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ ირაკლი II, ნაცადმა სტრატეგმა, რომელიც სარდლობდა რჩეულს, მაგრამ მცირერიცხოვან ცხენოსან ჯარს, სასტიკად დაამარცხა ჯერ თურქთა რაზმი 1500 ცხენოსნის შემადგენლობით, შემდეგ კი მათს საშველად მოსული ლეკ-თურქთა რაზმი 4.000 კაცის შემადგენლობით.

გადმოცემა ამბობს, რომ თბილისში თურქთა დამარცხება გაიგეს მდინარის გასისხლიანებით და გვამებით, რომლებიც ქალაქში მტკვარმა ჩამოიტანა.

ირაკლიმ ორთაბრძოლაში დაამარცხა ავაზაკი კოხტა, ლეკთა ბანდების ცნობილი წინამძღოლი. ამ ხმლის ტარში, რომელიც წარმოადგენდა მოოქროვილი ვერცხლის „შევარდენის თავს", ჩასხმული იყო ტყვია, რათა მისი სიმძიმის ცენტრი, საბრძოლო წონა, ეგრძნო მეომარი მეფის ხელს.

ასპინძასთან სამსახურის გაწევისათვის მადლობის ნიშნად ირაკლიმ თავისი ხმალი გადასცა ი. დადიანს. და ბრძოლის ველზე მეიარაღემ ხმალზე ამოჭრა წარწერა:

**„მეფე ირაკლი II**
**უსაჩუქრა სამეგრელოს მთავარს**
**ი. დადიანს".**

მეფის სახელგანთქმული ხმალი 71 წელს იმყოფებოდა მთავრის სასახლეში. ეს ტყვეობას ჰგავდა. ტარი ოდნავ გაშავდა და თითქოს „შევარდენმა" თვალები მოხუჭა და თვლემსო.

1841 წელს მოხდა გურული გლეხების აჯანყება [illegible] წინააღმდეგ. ბრძოლა მოგვაგონებდა [illegible] ომს.

გაიმარჯვეს აჯანყებულებმა. ჯერ კიდევ [illegible] მათ აკრიფეს თავადთა მიერ დაყრილი იარაღი. [illegible] მოჩნდა მეფე ირაკლის ხმალიც. აბა რომელ ღირსეულს გადაეცეს იგი? მთავართან ორთაბრძოლაში თავი ისახელა ჯვარცხმელი ბერიძის რაზმმა.

გლეხის ოჯახში მეფის ხმალმა 95 წელი გაატარა. ყოველთვის, როცა გურიას საფრთხე მოევლინებოდა, დაშნა ქარქაშს ტოვებდა და „შევარდენის თავი" ცოცხლდებოდა ახალი ბრძოლის ცეცხლში.

როცა უკანასკნელად წითელი ცხენოსნის მახვილი წკრიალით შეეხო რაიხსტაგის ქვის კიბის საფეხურს, ირაკლის ხმალი დასასვენებლად გადავიდა ქალაქ მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

17 წელს მინის ქვეშ განისვენებს ეს ხმალი ნაპოლეონის დაშნის გვერდით, ხმალი, რომელმაც ასახელა ასპინძა და გურია. ხმალი ძველდება, მაგრამ კვლავ ცოცხლობს მასში მძლავრი ძალა და თუ ცას დააწვნენ შავი ღრუბლები, მას კვლავ ამოიღებენ ხელები, რომლებიც მზად არიან გმირობის ჩასადენად.

Დაბალმა ღრუბლებმა გადაუარეს უკრაინას, რუსეთს, ცეცხლი აფრქვიეს. ფონ კლაისტის ტანკები კავკასიონის მთებს ღრღნიდნენ. ხეობებსა და ნაპრალებში დივიზია „ედელვაისი" საქართველოსაკენ მოისწრაფოდა.

რა აიღო ხელში კალისტე ანდღულაძემ? სწორია, თოფი საჭირო ნივთია. ერთად მიდიან 1941 წელი, 1942 წელი, იმღერიან ჯარისკაცთა სიმღერას. კალისტე გასამხედროებულ სატვირთო სამსახურს ეწევა. გააფრთხებით უშენს ქალაქი ორჯონიკიძე, დაძაბულად უგდებენ ყურს დარუბანდი, მაჰაჩყალა. დაჯავშნული სხივებში, როგორც ტყვიამფრქვევის ლენტებში, „სამკვდრო-სასიცოცხლოდ" დგანან უშბა, იალბუზი, მყინვარწვერი. გრუხუნებენ რელსების შესაყარზე სამხედრო ეშელონები: თოფის ჩრდილი ვაკისს ეცემა. მარცხნივ და მარჯვნივ ავიაბომბები ასახიჩრებენ ვაკისს. და ჩრდილი კი მიფრინავს: ერთი კილომეტრი... კილომეტრი... კილომეტრი... მიჰქრიან საომარი მასალით დატვირთული ვაგონები. საგუშაგოზეა ანდღულაძე.

პოსტზე არიან გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე, რომელმაც ჩამოაგდო სვასტიკა ნოვოროსიისკის კანდელიდან. გენერალ-პოლკოვნიკმა ჩანჩიბაძემ ზუსტად დაითვალა მის მიერ დალეწილი გერმანელთა ტანკები. გენერალი თავართქილაძე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პაულუსის დატყვევებაში.

ისინი დგანან პოსტზე და იდგებიან მუდამ მახარაძის მუზეუმში, კოტე ლეჟავას პორტრეტის გვერდით, ლეჟავასი, რომელმაც, ისევე როგორც მათ, დაამტკიცა, რომ საბჭოთა ადამიანის სულის ოქროს საბადოებს მეტი წონა აქვთ, ვიდრე მთელ ოქროს, რაც ჯერ კიდევ არსებობს დედამიწაზე.

კალისტე ანდღულაძე დემობილიზებულია. მაშასადამე, კვლავ სიმინდის ყანაში. ცამეტი წელიწადია, რაც კალისტე კოლმეურნეობაში მოსავლის ოსტატია. ბრიგადირია! შედგება გორაკზე და თითქოს ჭოგრიტით ხედავს: დიდად გაიზარდნენ კოლმეურნეობა, პლანტაციები, ბაღები, ფერმები. ვინ გაბედავს ხელყოს ხალხის შრომა?

ცხოვრების ათმა წელმა ისე გაიშრიალა, როგორც ერთი მოსავლის სიმინდის ფოთლებმა! 1953 წელს მოხდა დიდმნიშვნელოვანი ამბავი: სექტემბერში გაიმართა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პარტიამ დასახა ახალი ამოცანები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. „მინდვრის დედოფალს" მიეცა „მწვანე ქუჩა".

ახალი ძალები, და მერე რა ძალები, შეემატა თითქოს კალისტეს...

ზოგჯერ ცხენი მიდის ხშირ ლიშხნარში, ფაფარი ეხვევა ტოტებზე. ჯირკები ნალს აძრობენ. შემდეგ კი გავარდება სივრცეში და გააკეთებს წარმოუდგენელ ნახტომს. ასეთი ნახტომი გააკეთა საკოლმეურნეო ცხოვრებამ 1955 წლიდან 1961 წელში. დაიწყო მკვეთრი აღმავლობა. და არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო წარმატება, თუ კი იყო მისდამი რწმენა.

სიმინდის ყანამ კალისტე ანდღულაძეს ჰკითხა: „შეასრულებ"? უპასუხა: „სიტყვა მივეცი — უნდა შევასრულო! ჯარისკაცის სიტყვა მივეცი!"

Კოლმეურნეობა „საქართველოში" მუშაობას განაგრძობდა ლეილა მალულარია. ჩაის ბუჩქები მეგობრებივით შემოხვეოდნენ. ივსება დუყებით კალათი, და კვლავ ივსება, და კვლავ... საღამოს შედეგს აჯამებს. მანძილი რიგით ციფრებსა და საბოლოოს, პარადულ ციფრს შორის, მცირდება.

მაგრამ ჩაის ბუჩქებთან ერთად წვენს იკრებენ, მწიფდებიან სიმინდის ყანები. აჭიკჭიკდებიან თუ არა ფრინველები: გათენდაო, ძიმითი იძახის: „ეი, ნაგომარო! რას შვრება ლეილა?! მეორე ნაპირიდან ნაგომარი უპასუხებს: „კარგად არის! ჩაის სვამს!" „თქვენი კალისტე კი როგორ არის?! ძიმითი აქედან უპასუხებს: „კარგად არის! სიმინდს ხარშავს!" იცინის სუფსა.

ორივე ნაპირს ახალი ხიდი აერთებს, და მერე როგორი, დედაქალაქის რომელიც გნებავთ ხიდი გვერდს ვერ აუვლის. მონოლითური და ამავე დროს აჟურული, დგას მტკიცე და ლამაზ ბურჯებზე, სახოვანი რიკული წყალში იხატება და მათ ზემოთ აღმართულან ელექტროფანრების ტანადი ანძები. მოვიდნენ პატივსაცემი სტუმრები და გაიკვირვეს. ხიდი აგებულია 1955-59 წლებში სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის ძალებით, დაჯდა 4.000.000 მანეთი, ხოლო სახელმწიფოსაგან მანეთიც არ აუღიათ. წინათ კი ძიმითიდან რაიონულ ცენტრამდე მისვლა... ბოდიში... მხოლოდ წინაპარ ნოეს კიდობნით თუ შეიძლებოდა. მდინარეზე იყო ბორანი, რომელიც ურემივით მიზოზინებდა. არ უყვართ გურულებს, როცა დრო ბორნის ჭირვეულობას ემორჩილება. ხოლო სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მუხაშავრია პირდაპირ ვერ ითმენს, როცა წყალსა და დროს ერთი ფასი აქვს.

ადამიანებზე სევერიანე მოსეს-ძე განგებ მშრალად ლაპარაკობს, თვითონ კი თითქოს გამუქებულია შიგნიდან, თითქოს ქართული პოეზიის ტრადიციით ჰიმნებს უთხზავს ჩაის, სიმინდს, ციტრუსებს და ძლივს იკავებს თავს, რომ არ წამოიძახოს: „შეხედეთ ძიმითს. აი ვინ ამშვენებს მიწას, ადვილი როდია წკრიალა ციფრების მიღწევა, მაგრამ აი აღწევენ, იმიტომ რომ იციან ციფრების უკან არის ცხოვრება, როგორც გაზაფხულის ბაღი, როცა თეთრი და ვარდისფერი ყვავილებით იფარება!"

სიბნელის არტახებისაგან განთავისუფლებული ხალხის ძალა აბა რას არ შექმნის! შეხედავ ძიმითს და გულში იტყვი (ხმამაღლა რაღაც უხერხულია, და მეტად აღტაცებულიც კია): „დალახროს ეშმაკმა, ეს რა საუკუნე მოდის! სასიხარულოა ამ ქვეყნად ცხოვრება, ამხანაგებო!"

შრომა! იგი არ ივიწყებს თავის ქვეშევრდომებს. 18 წელიწადია, რაც მუხაშავრია თავმჯდომარედ მუშაობს. სევერიანეს, წარსულში მოჯამაგირის, მკერდს ამშვენებენ სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი, ლენინის ორი ორდენი, შვიდი მედალი. მის საარიცხვო პარტიულ ბარათში წერია: „სკკპ XXI ყრილობის დელეგატი".

მივდიოდით კალისტე ანდღულაძის ინდივიდუალური ნაკვეთისაკენ. პაპანაქებაში იდგნენ მწვანე შუბებს დაყრდნობილი ახოვანი მეომრები და სინამდვილეს მირაჟთან ურევდნენ, გამარჯვებულ ლაშქარსა ჰგავდა კალისტეს სიმინდის ყანა.

საღამოჟამს კვლავ ვნახეთ ანდღულაძის ის ორი სახლი: ძველი და ახალი. მანძილი მათ შორის ათ მეტრზე მეტი არ ყოფილა.

Პრეს-კონფერენციის მეორე დღე მიეძღვნა წარჩინებული მესიმინდის გამოსვლას. კალისტე ანდღულაძემ თქვა:

„მე მოსავლელად მიჩენილი მაქვს 1 ჰექტარი ნაკვეთი. 1960 წელს მივიღე 151 ცენტნერი მოსავალი. 1961 წელს ვკისრულობ, რომ სიმინდის ღეროს სიმაღლე მიაღწევს 4,5-5 მეტრს. აგრეთვე ვკისრულობ: XXII ყრილობისათვის მივიღო 170 ცენტნერი. სიტყვა მივეცი — უნდა შევასრულო. ჯარისკაცის სიტყვა!"

ასე ამბობდა ადამიანი, რომელმაც ოქროს შრომა დაუპირისპირა.

თარგმანი **არისტო ჭუმბაძისა.**

---

დაწერილია გაზეთ „კომუნისტისათვის".



სურათზე: სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის მიერ აგებული ხიდი მდინარე სუფსაზე.

# ახალი საქმეები, ახალი სახელები

## ვასილ ჰაპინაშვილის თაოსნობა



ვ. ჰაპინაშვილი.

[illegible]

ბრიგადის მუშაობის შედეგი ასეთია: 1960 წლის მაისიდან 1961 წლის პირველ იანვრამდე ბრიგადის მიერ გამომუშავებულია 94.597 მანეთი, ხოლო რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიღებულმა ეკონომიამ 139.434 მანეთს გადააჭარბა, ე. ი. ეკონომიამ ექვსი კაცისაგან შემდგარი ბრიგადის ხელფასი მთლიანად დაფარა და სახელმწიფოს დამატებით კიდევ 34.834 მანეთი ეკონომია მისცა (ძველი ფულით).

## თვალსაჩინო წვლილი

[illegible] ...ლი ვალდებულების ათი დღით ადრე შესრულება. ამ წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი რ. ჭიჭინაძის კომუნისტური შრომის ბრიგადასაც მიუძღვის.



რ. ჭიჭინაძე.

## სწორი არჩევანი



მ. ქარდავა.

[illegible] ...იმას ნიშნავდა, რომ სამშობლოსათვის დამატებით მიგვეცა ასობით ტონა ჩაის ნედლეული.

და მერი ქარდავას სახელი ცნობილი გახდა არა მარტო ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში", არამედ მთელ რაიონში, ჩვენს რესპუბლიკაშიც.

სეზონის დასაწყისში ვალდებულება იკისრა მო- [illegible]

## მინდვრის ოსტატი კოსტა ჯოჯუა

[illegible] ...ტნერი სიმინდის მარცვლის მიღება იკისრა. სიმინდის ყანებს ზრუნვა არ მოაკლო და ჰექტარზე 200 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მიღებას ვარაუდობს.



კ. ჯოჯუა.

## თამაზ ვაშაძის გამარჯვება



თ. ვაშაძე.

[illegible] ...ბრიგადის საპატიო სახელი მოიპოვა.

ბრიგადა ჩაება სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის ღირსეულად აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გმირული შრომის მაგალითი უჩვენა. ბრიგადამ კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებს შორის გაიმარჯვა და რესპუბლიკაში პირველი ადგილი მოიპოვა. მას მიეკუთვნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

# მადლი კომუნისტური შრომისა

გიორგი ნატროშვილი

მაისის ბოლოს, როგორც თბილისს სჩვევია, უეცრად დიდი სიცხეები დაიჭირა. ამოიხედავდა თუ არა მზე მახათას მთიდან, უმალვე სადღაც გაქრებოდა დილის სიგრილე და იგრძნობოდა როგორ ახლოვდებოდა ბუღი, სიცხისა. და როცა მზე სულ მაღლა და მაღლა, ზენიტისაკენ წავიდოდა, ისეთ ალმურში გაეხვეოდნენ ხოლმე ძველი ჩუღურეთიცა და ისანიც, ახალი ვაკეცა და საბურთალოც, რომ ადამიანს სუნთქვა უჭირდა. ხეზე ფოთოლიც არ ირხეოდა და ქალაქელებიც ზანტად მიუყვებოდნენ ქუჩებსა და პროსპექტებს.

ჰოდა, აი ასეთი ცხელი შუადღე იყო, როცა საბურთალოში, ანაგის ქუჩაზე შუა ტანის, მკვრივად ჩადგმული, შავთვალწარბა ვაჟკაცი გამოჩნდა. ჩაფიქრებული იყო და მარტო ხანდახან ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გაუელვებდა ხოლმე მოკლედ შეკრეჭილ ულვაშებში. შეპლიმოდა რაღაც თავის ფიქრს და ნელ-ნელა მიაბიჯებდა. მარჯვენა იღლიაში ბუტაფორული ნაძვისხე ამოედო და მარცხენა ხელით სათამაშოები მიჰქონდა იმ ნაძვისხის მოსართავად — ერთი-მეორეზე აცმული ბრჭყვიალა დათუნიები და ციყვები, ფერად-ფერადი მინიატურული ელექტრონათურები და ვეება თოვლის პაპა.

გამვლელებმა თვალები მოიფშვნიტეს, სიზმარში ხომ არა ვართო.

— ბიჭო, ხედავ იმ კაცს? გამაგებინე, მეჩვენება თუ ნამდვილად ნაძვისხე მიაქვს? — წამოიძახა ერთმა გამვლელმა, შუა ქუჩაზე გაჩერდა და მიმავალს თვალი გააყოლა.

— ნამდვილად ნაძვისხეა, — უპასუხა მეორემ.

— ძმობას გაფიცებ, მითხარი რა თვეა ახლა?

— რა ვიცი, დღეს დილით, რომ ავდექი, მგონი მაისი იყო, ოცდახუთი რიცხვი, — უპასუხა თანამოსაუბრემ და სახეზე ოფლი შეიმშრალა.

— მერე და, ეგ დალოცვილი მაისში საახალწლო ნაძვისხეს აწყობს?

— ცხელა, ძმაო, რას იზამ... ახლა ნურაფერი ნუ გაგიკვირდება...

სათამაშოებით დატვირთულმა კაცმა კი იქვე, ანაგის ქუჩაზე შეუხვია და ახალი სახლის კიბეს შეჰყვა.

საღამოთი, მზე რომ ჩავიდა და საბურთალოს გრილმა ნიავმა შემოუბერა წყნეთის მხრიდან, სტუმრებიც გამოჩნდნენ და იმავე კიბეს შეჰყვნენ; ოჯახის დიასახლისი, ტანწერწეტა და მართლაც ნაზი ნაზიკო სტუმრებს კარებშივე ეგებებოდა, ორი წლის ციცინო კი მორთულ ნაძვისხეს შეჰფოფინებდა და შეჰხაროდა. ხოლო ოჯახის უფროსი შოთა, აი ის შავთვალწარბა ვაჟკაცი, წეღან ქუჩაზე გამვლელების გაოცებას რომ იწვევდა, ახლა სტუმრებს გაშლილი სუფრისაკენ ეპატიჟებოდა, ისინიც მაგრად ართმევდნენ ხელს მასპინძელს, ახალ წელს ულოცავდნენ, მარჯვენას უქებდნენ და ახალ გამარჯვებებს უსურვებდნენ.

დიახ, მაისი იყო, ოცდახუთი მაისი და ანაგის ქუჩაზე, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის ზეინკლის შოთა ფირცხალავას ოჯახში საახალწლო ნაძვისხე იდგა...

მოდი და ნუ გაოცდები: ისტორიაში ცნობილი არცერთი კალენდარი ახალწელს ამ დღეს არ იწყებს. ისტორიას კი მრავალი კალენდარი ახსოვს — ძველ ეგვიპტეში ახალი წელი, მგონი, ოცდაცხრა აგვისტოს იწყებოდა, მუსულმანთა ჰიჯრით — თექვსმეტ ივლისს, იმ დღეს, როცა ლეგენდის მიხედვით, მაჰმადი მექადან მედინაში გაიქცა; თავისი თარიღი ჰქონდა იულიუს კეისრის კალენდარსაც, ძველ რუსეთში კი, პეტრე პირველამდე, ახალ წელს პირველ სექტემბერს იწყებდნენ, ხოლო საფრანგეთის რევოლუციის დროს კონვენტმა ახალი წლის დასაწყისად 22 სექტემბერი დასდო.

ვ ჟუილად ვაწვალებთ ამ თარიღებს — შოთას თავისი კალენდარი აქვს და ისტორიასაც თვითონა ჰქმნის; ჰოდა, ამ კალენდრით ახალი წელი მისთვის სწორედ ოცდახუთ მაისს დაიწყო: წინა დღეს მან 1961 წლის გეგმა მოითავა და აღნიშნა კიდეც ეს ამბავი ისე, როგორც ამას ტრადიცია მოითხოვდა. მან უკვე შეასრულა შვიდწლედი და წინ გაუსწრო ყველას — მეზობლებსაც, თავისი საამქროს მუშებსაც, წინ გაუსწრო დღეებით კი არა, წლებით...

ნაძვისხის ამბავი კი აი როგორ დაიწყო...

კიროვის სახელობის ქარხანას ერთხელ — ეს ჯერ კიდევ წინა წლებში იყო — კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ვილი კაჭარავა ესტუმრა. საამწყობო საამქროში რომ შევიდა, მაშინვე შოთასაკენ გასწია. სახელგანთქმული ზეინკალი ჩარხს აწყობდა და ხელები გამურული ჰქონდა, ამიტომ სტუმარს მან ხელი კი არა, მაჯა გაუწოდა. ვილიმაც ჩამოართვა ხელი, შეყვნენ საუბარს. მაშინაც შოთამ ასევე, ხუთ თვეში მოათავა წლის გეგმა.

— მაშ გამოდის, რომ ხვალიდან შენთვის ახალი წელი იწყება, — უთხრა ვილიმ თანამესაუბრეს.

— აგრე გამოდის! — დაუდასტურა ზეინკალმა.

— იცი, შოთა, — დაიწყო ვილიმ, — თურმე ურალზე, კარგი ოსტატები, წელიწადს ხან ხუთსა და ხან ექვს თვეში რომ ჩასტევენ ხოლმე, ერთი სიტყვით, წელიწადს რომ მოათავებენ, მაშინ ამას აღნიშნავენ კიდეც, ნაძვისხესა სდგამენ. მოსკოვში მითხრეს, ეს ტრადიციად იქცა და ბევრ ადგილას გავრცელდაო. მოდი, შენც ასე გააკეთე...

შოთას ეს ჰკუაში დაუჯდა, მოეწონა ეს აზრი, რატომაც არა, ცოტა უჩვეულო იქნება, მაგრამ სავსებით გონივრული. ახალს რომ იწყებ, კალენდარსაც შეგიძლია თამამად მოექცე, გაზაფხული ზამთარში მოიყვანო და შემოდგომა ზაფხულში, შენს ნებაზე ატარო ბუნებაცა და ტრადიციაც.

ს ახელგანთქმული ზეინკალიო, რომ ვთქვათ შოთაზე, ეს ცოტა იქნება... შოთა მეტია, ჯადოქარი ოსტატია, მართლაც დალოცვილი და მადლიანი ხელი აქვს და რა საქმესაც უნდა მოეჭიდოს — ისე გააკეთებს, რომ ქვეყნად ყველაზე უფრო შარიანი და წუნია კაცი რომ მოძებნო და მოიყვანო, მის ნახელავზე თვალი ზედ დარჩება...

აგერ, რა კოხტა ფეხსაცმელები აცვია მის პატარა ციცინოს. ჩვენ შოთას ბინაში ვართ და ფოტოკორესპონდენტი მგონი მეათეჯერ იღებს ციცინოს პორტრეტს, და გოგონას ყველაზე მეტად ის უხარია, რომ სურათზე მისი ფეხსაცმელებიც გამოჩნდება — ჯერ ერთი, მამიკოს შეკერილია და მეორეც — ისე ლამაზებია, ანაგის ქუჩაზე კი არა, მგონი საბურთალოშიც, თუ მთელ თბილისში არა, არცერთ ბავშვს არ აცვია ასეთი კოხტა ფაჩიჩები.

რთულია ეს ცხოვრება და კაცს ვინ მოსთვლის რამდენნაირი ხელოსანი სჭირდება — ხან დურგალი, ხან ფეხსაცმლის მკერავი, ხან მონტიორი, ხან კალატოზი — რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო! შოთას კი არავინ არ სჭირდება, ყველაფერი თვითონ იცის! როცა შოთა არმიაში გაიწვიეს, ის საარტილერიო პოლკში მოხვდა, და ისე უეცრად შეისწავლა ურთულესი მანქანები, რომ მეთაურები გაოცებას ეძლეოდნენ; ამიტომ იყო, რიგით ჯარისკაცს უმალ სერჟანტის წოდება მიანიჭეს... სხვებს ამისათვის სპეციალური სკოლა დასჭირდათ, თბილისელ ზეინკალს კი — არა; საარტილერიო პოლიგონზეც ისეთი ოსტატი იყო შოთა, როგორც ჩარხსაშენებლო ქარხნის საამწყობო საამქროში...

მერე ის იყო, ბატარეის უფროსმა, მთელი მწყობრის წინაშე, პოლკის სარდლობის სახელით, შოთას მადლობა გამოუცხადა. შოთას ადრევე მოსწონდა ეს ოფიცერი და ახლა უფრო მეტად შეუვარდა მასზე გული, იფიქრა, მეც ჩემის მხრივ მადლობას გადავუხდიო, და ჩუმათ, დასვენების საათებში ოფიცერს ჩექმები შეუკერა. ოფიცერმა ჩექმები რომ ჩაიცვა, მთელ პოლკს მასზე დარჩა თვალი — ხომ მოგეხსენებათ რა ფასი აქვს ჯარში კარგ ჩექმას. აუტყდნენ ამ ოფიცერს ამხანაგები — გვითხარი და გვითხარი სად აღმოაჩინე ასეთი ოსტატიო!

იმანაც ბევრი იუარა, და ბოლოს გამოუტყდა მეგობრებს — ეს იყო და ეს — იმის მერე ხვეწნით აიკლეს ოფიცრებმა სერჟანტი — ჩვენც შეგვიკერეო. შოთამაც არავის დასწყვიტა გული, მთელი ოფიცრობა გამოაწყო და არ იფიქრით, ვინმესთვის კაპიკი გამოერთმიოს... მისი შეკერილი ჩექმები არა მარტო ლამაზი, არამედ ყველაზე უფრო გამძლე იყო. თავისი საიდუმლო ჰქონდა ოსტატს, და სამხედრო სამსახური რომ დაამთავრა და შინ წამოსვლა დააპირა, ოფიცრები აუტყდნენ — ისე არ წახვიდე, შენი საიდუმლოება ჩვენი პოლკის ხელოსნებს არ ასწავლოო.

— მეც ყველაფერი ვასწავლე იქაურ მეჩექმეებს და ისე წამოვედი, — ამბობს შოთა.

ჰყვება შოთა ამ ამბებს, ჩვენ ვსხედვართ, ვუსმენთ და მე ერთი ქორწილი მახსენდება, შარშან ჩუღურეთში რომ გადაიხადეს. შემთხვევით დავესწარი, გრძელი სუფრა იყო გაშლილი, ირგვლივ თბილისელი ხელოსნები შემოსხდომოდნენ. თამადამ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო რომ დალია და მეზურნეებმაც ტუში დააყოლეს, მეორე ჭიქით თამადამ ნეფის მამა გაიხსენა, ვინც ამ სახლს ჭერი დაადგაო, მადლიანი ხელი ჰქონდა, ოსტატის ხელიო და გულიც მადლის შუქით ჰქონდა სავსეო.

— იცით, რა ოსტატი იყო, — განაგრძობდა თამადა, — ეს სახლიც თავისი ხელითააშენა, მთელ ოჯახს ტანსაცმელს თვითონ უკერავდა და, გარდა მაგისა, მეჩექმე იყო ისეთი, თბილისში ბადალი არა ჰყავდა. იმისი შეკერილი ჩექმები ეცვა სარდალ იან ფრანცის ძე ფაბრიციუსს, თუ გახსოვთ, გრძელი ულვაშები რომ ჰქონდა... ერთხელ თავისი ფეხით შევიდა სარდალი მის სახელოსნოში, ვეება კაცი იყო, ორმოცდახუთი ნომერი ფეხი ჰქონდა. და მარტო ის კი არა, მისი ჩექმებით გამოდიოდა პარადებზე არმიის გენერალი ივანე ვლადიმერის-ძე ტიულენევიცა და მარშალი ფიდორ ივანეს-ძე ტოლბუხინიც, აი ის სახელგანთქმული სარდალი, ომის დროს სოფია, ბუდაპეშტი, ბელგრადი და ვენა რომ გაანთავისუფლა და მერე, ომი რომ დამთავრდა, აქეთ გამოამწესეს, კავკასიაში...

ჰყვებოდა თამადა და ვგრძნობდი რაოდენი სიამაყე იყო მის სიტყვებში, სიამაყე, რომელსაც ოსტატის გახსენება იწვევს. სხვათა შორის, ჩვენში იყო ტრადიცია, როცა კაცს ერთი კი არა, მრავალი ხელობა ჰქონდა და ყველა დარგში ვირტუოზი იყო. ახლაც, ამ ოჯახში რომ ვართ სტუმრად, მახსენდება ეს ამბავი და ჩემთვის ვფიქრობ, რომ ჩვენი შოთა არც იმ ხელოსანს დაუდებდა ტოლს, საქმე საქმეზე რომ მისულიყო და ერთმანეთს რომ შეხვედროდნენ... და ჩვენი ზეინკალი იმ მეჩექმეს, ვინ იცის, იქნებ ათიოდე ქულასაც წინასწარ მისცემდა.

მ აგრამ ჩექმები რას ჰქვია, ეს რა სახსენებელია, რა სათქმელია, როცა შოთას აწყობილ ჩარხებს გაიხსენებს კაცი — იმ ჩარხებს გააქვთ ინდუსტრიული თბილისის სახელი შორს, მეტად შორს, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით.

— ავღანეთში რომ გადაჰქონდათ, — ამბობს შოთა, — უდაბნოში თურმე აქლემებით ატარეს...

მარტო ავღანეთში ხომ არა — თბილისური უნივერსალური სახარატო ხრახნსაჭრელი „163" მოდელისა და ლითონდამამუშავებელი სპეციალური ჩარხები გადის მსოფლიოს ოცდასამ ქვეყანაში; თბილისელ ზეინკალს მათ სახელი გაუთქვეს პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, ფინეთსა და ბულგარეთში, ინდოეთსა და ჩინეთში, ვიეტნამსა და რუმინეთში, სახელი გაუთქვეს მთელ კონტინენტებზე და მისწვდნენ თვით ლათინურ ამერიკასაც კი.

ბევრი საამაყო ოსტატი ჰყავს კიროვის სახელობის ქარხანას და შოთა ფირცხალავას საპატიო ადგილი უჭირავს მათ შორის. მას ანდობენ ყველაზე საპასუხისმგებლო კვანძების მონტაჟს, ავალებენ ურთულესი ჩარხების გენერალურ აწყობასა და გამოცდას. ამწყობი საამქრო, სადაც შოთა მუშაობს, მილდასამუშავებელ ჩარხებს ამზადებს. რაოდენად განსხვავდება ქარხნის პირველი წლების პროდუქცია ამ ახალი ჩარხებისაგან, რა ბუმბერაზული ნაბიჯებით წასულა წინ ქართული ინდუსტრია! ადრინდელი ქართული მარტივი ჩარხები — ჰანჭიკსაჭრელები წონით ძლივს აღწევდნენ ერთნახევარ ტონას, ხოლო ახლანდელი ავტომატური, ჩქაროსნული და ნახევრადავტომატური ჩარხების თვითეული მსხვილი კვანძი და დეტალი სიმძიმით გაცილებით აღემატება პირვანდელ ქართულ ჩარხს. ახლა მარტო ერთი კიროვის ქარხანა უშვებს წელიწადში უფრო მეტ ჩარხებს, ვიდრე ძველად მთელი მრეწველობა უშვებდა. აი ასეთი დიდი ინდუსტრიული კერა ღვივის ღრმაღელეში.

შოთა ფირცხალავა ნამდვილი შემოქმედია, დაუცხრომელი მაძიებელია ახლისა. ის უბრალოდ კი არ კითხულობს ნახაზს, არამედ ფურცელზე გადატანილ კონსტრუქტორის ჩანაფიქრშიც შეაქვს შესწორებანი, ცვლილებანი, ახალი აზრი. ვინ მოსთვლის რაოდენი რაციონალიზატორული წინადადება შეუტანია შოთა ფირცხალავას. მარტო გასულ წელს მან ოცდათერთმეტი წინადადება შეიტანა და სახელმწიფოს 70.000 მანეთი დაუზოგა.

ს აამქროში ვდგევართ, შოთას ვესაუბრებით. ზეინკალი ახლადაწყობილ ჩარხს დასცქერის და გვიხსნის მის დანიშნულებას. ის იყო, საიდანღაც ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭი გამოჩნდა, შეჰყურებს თვალებში ოსტატს, ეტყობა მის ყოველ სიტყვას გულში იბეჭდავს. „ვინ არის ეს ყმაწვილი", — ეკითხება პოეტი ნოდარ გურეშიძე ზეინკალს.

— ახალი ჩამოსხმაა, — ხუმრობით ამბობს შოთა, როგორც ღვინოზე იტყვიან ხოლმე, — ნახეთ, რა ოსტატი დადგეს.

დიახ, ესეც შოთას საზრუნავია.

კომუნისტური შრომის დამკვრელი, სახელოვანი ოსტატი შოთა ფირცხალავა როდი კმაყოფილდება იმით, რომ მარტო თვითონ იყოს მოწინავე. არა, ის ამხანაგებზეც ზრუნავს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას შოთა ფირცხალავა თავისი საჩუქრით ხვდება — მან ჩამორჩენილი მუშებისაგან ჩამოაყალიბა ბრიგადა, სათავეში ჩაუდგა მას და მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. უკანანი წინო, ნათქვამი იყო ოდესღაც, ხოლო მოწინავენი ხომ ივლიან და ივლიან წინ, კომუნიზმის ნათელ გზაზე. ჩვენი ზეინკალიც ამ გზას ადგას და ამიტომ თავის გამოსვლაში თბილისის პარტიულ კონფერენციაზე ამხანაგმა ვასილ მჟავანაძემ შოთა მოიხსენია საქართველოს ყველაზე საამაყო ადამიანთა შორის.

უბრალო კაცია შოთა, ალალი და გულმართალი, ამიტომ გამოჰყვა მის შრომას ის დიდი მადლი, რომელიც მთელ ქვეყანას გადასწვდენია. ეს კომუნისტური შრომის მადლია, რომელიც ძალას აძლევს ჩვენს ადამიანებს სასწაულები მოახდინონ.



სურათზე: შოთა ფირცხალავა თავის გოგონასთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ლენინის ვარდი



პატივცემულო რედაქციავ, ძვირფასო მკითხველო!

ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ეს პატარა მოგონება მოგაწოდოთ იმ სასიხარულო დღეებში, როცა საქართველოს კომუნისტები, მთელი ქართველი ხალხი ეგებება საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობას.

მე ბედნიერება მხვდა იმ პირველ მეომართა რიცხვში ვყოფილიყავი, რომლებიც თბილისში შევიდნენ 1921 წლის 25 თებერვალს, რა დღიდანაც საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა.

მაშინ 340-ე მსროლელთა პოლკის მეთაური ვიყავი. შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი საქართველოს და შემყვარებოდა ქართველი ხალხი. მოხუცებული, პენსიაზე მყოფი ახლა ვიგონებ შორეულ წარსულს, როცა კავკასიის ცალკე არმიის შტაბმა საქართველოს გზების დაცვის უფროსად დამნიშნა, და განსაკუთრებული სიამოვნებით ვიხსენებ იმ კარგ ურთიერთობას, რაც ჩვენ ქართველ მოსახლეობასთან გვქონდა.

თანამდებობის მიხედვით მე სამხედრო ხასიათის ყველაზე უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ვიღებდი, ვიდრე რიგითი მებრძოლები ან უმცროსი მეთაურები, და არ მახსოვს შემთხვევა, რომ რაიმე გაუგებრობა მომხდარიყო ჩვენს ჯარის ნაწილებსა თუ ცალკეულ სამხედრო პირებსა და მოსახლეობას შორის.

მაგრამ თბილისში რომ შევედით და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტი დავამყარეთ, ჩვენ გვიამბეს, რომ გაქცეული მენშევიკური მთავრობა თურმე ეწეოდა საზიზღარ პროპაგანდას, ამტკიცებდა, წითელი არმია მთლიანად ბოლშევიკებისაგან შედგება, რომლებიც „მხეცურად ეპყრობიან" მშვიდობიან მოსახლეობას. საქართველოში იშვიათად ვისმე სჯეროდა ეს ცრუ პროპაგანდა, მაგრამ იყო თითოოროლა გულუბრყვილო ადამიანი, რომელიც წამოგებოდა მენშევიკების ანკესს.

მაგონდება ერთი ეპიზოდი.

ჩემი პოლკის შტაბი მოთავსებული იყო მიხეილის პროსპექტზე № 82 სახლში, მე კი დავბინავდი სანაპირო ქუჩაზე ორსართულიან სახლში № 17. პირველ სართულზე ცხოვრობდა სახლის პატრონი ოჯახიანად, ხოლო ჩემი ბინა მეორე სართულზე იყო. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ სახლის პატრონმა, რომელიც ქართველი იყო, მეუღლის დაბადების დღის აღსანიშნავ ვახშამზე მიგვიპატიჟა მე და პოლკის კომისარი. სტუმრები ოცდაათზე მეტი იყო. სუფრაზე უხვად იყო საჭმელ-სასმელი. მე და კომისარი დაგვსხეს სხვადასხვა ადგილას ქალებს შორის. საუბარი მიმდინარე თემებს ეხებოდა, მაგრამ ძალიან თავშეკავებულად წარმოებდა. მე და კომისარი ვგრძნობდით, რომ უჩვენოდ საუბარი უფრო გაცხოველებული იქნებოდა და ცეკვა-სიმღერაც ალბათ მალე დაიწყებოდა.

ბოლოს დადგა მომენტი, როცა საუბარი სულაც მიწყდა. ასეთი მომენტი ყველა საზოგადოებაში დადგება ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, თუ იქ უმრავლესობისათვის უცნობი პირები არიან.

და აი ასეთ სიჩუმეში უცებ ქუჩიდან შემოირბინა მხიარულმა, ლამაზმა ექვსიოდე წლის გოგონამ. მას ხელში ვარდი ეჭირა. ბავშვმა დედას მიმართა და წკრიალა ხმით შესძახა: დედიკო, დედიკო, ბოლშევიკები სულაც არ არიან საშიშნი. აი ახლა ჩვენს ქუჩაზე ცხენოსანმა ბოლშევიკებმა გაიარეს. მე და ნინო ვიდექით და ვუყურებდით. ერთ-ერთი ბოლშევიკი ცხენიდან დაიხარა, ეს წითელი ვარდი მაჩუქა და მითხრა: აჰა, გოგონავ, ეს ლენინმა გამოგიგზავნაო.

სტუმრები შეცბუნდნენ, მე და კომისარს გაგვეღიმა. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ მენშევიკების პროპაგანდის შესახებ ბავშვებს მშობლებისაგან გაეგონათ.

ერთი-ორი წამის შემდეგ გაისმა საერთო სიცილი, იქუხა ტაშმა, ხოლო ორიოდე წუთის შემდეგ დაიწყო ცეკვაც, რომელსაც ჩემი კომისარი მოუთმენლად ელოდა.

ძვირფასო საქართველოს ბავშვებო!

დაე ის წითელი ვარდი, რომელიც უცნობმა მებრძოლმა ამ გოგონას ლენინის სახელით აჩუქა, არასოდეს არ დამჭკნარიყოს თქვენს ხელსა და გულში!

ა. ბოგდანოვი.

340-ე მსროლელთა პოლკის ყოფილი მეთაური.

ბოლო ხანებში ავადმყოფობ და ამიტომ ეს წერილი ჩემი კარნახით დაწერა მეზობლად მცხოვრებმა მერვეკლასელმა ტონია ვიატკინამ. ცოდნისმოყვარე ტონია ძალიან დაინტერესდა საქართველოთი და მე დაწვრილებით ვუამბე მას თქვენი ქვეყნის შესახებ. მან მთხოვა მისი დიდი სალამი გადმომეცა ქართველი მოსწავლეებისათვის შორეული ბაშკირეთიდან.

ა. ბ.

# მიიღე, სამშობლოვ, ეს საჩუქარი

ქ უ თ ა ი ს ი ს სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა დიდი წარმატება მოიპოვა. 20 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა ტრაქტორების გამოშვების წლიური გეგმა. საწარმოს კოლექტივი პირობას აძლევს ყრილობას, რომ წლის ბოლომდე სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემს ათობით მცირეგაბარიტიან ტრაქტორს.

ქ უ თ ა ი ს ი ს აგურის მექანიზებული ქარხნის კოლექტივმა უკვე შეასრულა ათი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა ერთი მილიონ 200 ათასი ცალი აგური.

ხ ა შ უ რ ი ს აგურის ქარხნის კოლექტივმა 21 სექტემბრისათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 1 მილიონი ცალი აგური.

მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი ს რაიონის მშრომელებმა დიდი გადამეტებით შეასრულეს აბრეშუმის პარკისა და ხილის დამზადების წლიური გეგმები და ნაკისრი ვალდებულებები. გათვალისწინებული 330 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 389,6 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, ხოლო 225 ტონის ნაცვლად — 405 ტონა ხილი.

გადამეტებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის ხორცისა და კვერცხის მიყიდვის ცხრა თვის გეგმები.

წ ა ლ ე ნ ჯ ი ხ ი ს რაიონმა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა. სახელმწიფოს მიჰყიდა 1.010 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს რაიონის მშრომელებმა 100,2 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 242,2 ტონა ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი.

ლ ა გ ო დ ე ხ ი ს რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ცხრა თვის გეგმები. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 104,7 პროცენტით, რძისა — 114,5 პროცენტით, კვერცხისა — 104,3 პროცენტით.

დ მ ა ნ ი ს ი ს რაიონის მეცხოველეებმა მნიშვნელოვნად მეტი ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს, ვიდრე გათვალისწინებული იყო 9 თვის დავალებით. 20 სექტემბრისათვის ცხრა თვის გეგმა 105,8 პროცენტით შესრულდა.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა გრძელდება.

## არის ასეთი პარტია დიდი

ბრძოლის ცეცხლსა და ალში შობილი,
ვერ შემოჩრდილეს შავმა ღრუბლებმა.
ხალხებს მაჯაზე ახსნა ბორკილი
და მზედ დაანთო თავისუფლება.

ამაღლდა, როგორც ფრთები ქარიშხლის,
სიბრძნით, გონებით, არა განგებით.
გადააფარა მკერდი ცარიცინს
და მიასრისა ყირიმს ვრანგელი...

ცივი ზამთარი, ცხელი ზაფხული,
ნაღმთა ღმუილი, ტყვიის ქარწვიმა.
არსად სმენილი, ჯერ არნახული.
შეხლა, გმირობა და თავგანწირვა.

დროშად წარუძღვა ხალხს და არმიას,
მიჰყვა, არ შედგა წუთით, დროებით:
მან გადარეკა, მან დაარბია
კარზე მომდგარი მტრის ურდოები.

კვლავ შეაღვიძა მიწა სახნავად,
ზრუნვით შეუთბო ხეხილს ფესვები,
უდაბნოებში ბუჩქი ახარა,
მდინარეებზე დადგა ჰესები;

მზეს დაანახვა მხარე ვეება,
აწრთო ფოლადი, რკინა მაგარი,
ზღვებზე შეკრა და ყამირს შეება,
ბაღად აქცია ნაქალაქარი...

წმინდა ოცნება, სითბო, ალერსი,
რაც გვყვარებია, რაც გვინატრია, —
არის პარტია უსაყვარლესი,
კომუნისტების დიდი პარტია;

სულს რომ გვიბრუნებს, გულს რომ
შერთვია,
რომ დაგვიამა ყველა იარა...
მისი სურვილი მხოლოდ ერთია:
— მშვიდად იცხოვროს ადამიანმა!

ჩვენი პარტია — ძალა სხვაგვარი,
შუქი გულიდან ამონახდომი;
კოსმოსისაკენ უშვებს გაგარინს,
ტიტოვს მიაფრენს ზღაპრულ ნახტომით.

აჰა, უნისლო დილას ვეღირსეთ,
მაინც ვიგონებთ იმ ძველ ნატყვიარს.
არა ომისკენ, ხოცვა-ჟლეტისკენ...
— მშვიდობისაკენ გვიხმობს პარტია!

მან გაგვინათა სივრცე ახალი,
გზა გაგვიკაფა სიბრძნის ნათურით,
დიდი ლენინის დროშა მაღალი
ძირსდაუხრელად აქვს შემართული.

არის ასეთი პარტია დიდი,
რის არ გამძლები, რის არ მნახველი.
არის ასეთი პარტია დიდი, —
მას თვით ლენინმა მისცა სახელი...

ვასილ ბვეტაძე



# ხალხის წარგზავნილები

**ბ** უშინ თბილისში რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ საქართველოს კპ XXI ყრილობის დელეგატები.

სურათზე: ყრილობის დელეგატთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — შავი ზღვის ფლოტის მთავარი ზემდეგი პ. ნაკაშიძე, წალენჯიხის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ი. მესხიშვილი, გორის ბამბეულის კომბინატის ინსტრუქტორი ე. გეგელაშვილი, ფოთის მილსადენამშენებლობის ქარხნის კომუნისტური ბრიგადის ხელმძღვანელი ... , ... საბჭოთა მეურნეობის მუშა ვ. კირილენკო, ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მნგრეველი შ. კუბლაშვილი, გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ც. ჟოლბაია, სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის ბრიგადირი ი. ბაიდოშვილი, მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" მერგოლეური ტ. ჩხაიძე, მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის გადამხვევი ლ. კალანდაძე, ცხაკაიას რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავი ტ. ტყებუჩავა, ახმეტის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური ო. აივაზაშვილი, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის ბრიგადირი ზ. არძინბა, ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მქსელავთა ბრიგადირი გ. ბამეზარდაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

# თემა—ჩვენი თანამედროვეობა

გამოფენის ჟურნალიდან

**გუშინ**, 26 სექტემბერს საქართველოს სურათების სამხატვრო გალერეაში შეიკრიბნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მხატვრები, მეცნიერები, ჟურნალისტები, სტუდენტი ახალგაზრდობა. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობისადმი მიძღვნილი მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ.

მან აღნიშნა, რომ ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების ქართველი ოსტატები თვალსაჩინო შემოქმედებითი წარმატებებით ხვდებიან სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობებს. ჩვენი მხატვრების 100-ზე მეტი ნამუშევარი გაიგზავნა მოსკოვში საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენაზე, რომელიც ყრილობისწინა დღეებში გაიხსნება, დანარჩენი ნამუშევრები კი ამ გამოფენაზეა წარმოდგენილი.

გალერეის დარბაზებში ექსპონირებულ ქართველ მხატვართა ნამუშევრებს რომ ათვალიერებთ, გრძნობთ საბჭოთა საქართველოს ზრდას, მისი ხალხის შთაგონებულ შრომას, წინსვლას, რომელი ერთი ფერწერული ტილო დავასახელოთ. ისინი ფერების ენით მოგვითხრობენ რუსთავის მეტალურგთა შრომაზე, ქართველ მეცხვარეთა მძიმე, მაგრამ პოეტური სილამაზით აღსავსე ცხოვრებაზე, ჩაის მკრეფავ ქალთა საგმირო საქმეებსა და მოწინავე მშენებლებზე. ყველგან ახალ ადამიანთა პორტრეტებია. ესენი არიან სოციალისტური შრომის გმირები, მეცნიერები, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, მწერლები.

დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს მხატვარ ქ. კიკნაძის სურათი „ვ. ი. ლენინი პირდაპირ ხაზთან", სტალინური პრემიის ლაურეატის უჩა ჯაფარიძის „ნ. ს. ხრუშჩოვი" და ა. ვეფხვაძის „დუშეთის აჯანყება". მხატვარმა ვ. ტოროტაძემ გამოჩენილ რევოლუციურ მოღვაწეს სერგო ორჯონიკიძეს მიუძღვნა თავისი სურათი „თბილისზე ფრიალებს წითელი დროშა".

ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების 200-ზე მეტი ექსპონატი, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, შექმნილია ორი უკანასკნელი წლის მანძილზე. გამოფენამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ქართველ მხატვართა შემოქმედების მთავარი თემაა ჩვენი თანამედროვეობა, მშვიდობიანი შრომა.

ლ. ხუბულური.

# ჯ. კენედის გამოსვლა



ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. (საქტასი). 25 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ სიტყვა წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე.

თავისი სიტყვის დაწყებისას კენედიმ ღრმა მწუხარება გამოთქვა დ. ჰამარშელდის დაღუპვის გამო. მან განაცხადა, რომ ახლა ვიდრე ოდესმე, საჭიროა „განვამტკიცოთ ჩვენი ერთგულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისადმი", რადგანაც, მისი სიტყვით, „ამ ორგანიზაციის განვითარებას საფუძვლად უდევს ომის ერთადერთი ნამდვილი ალტერნატივა", „ომი — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, — ჩვენ უკვე აღარ წარმოგვიდგება გონივრულ ალტერნატივად, უცილობელი ომი უკვე აღარ გამოიწვევს უცილობელ გამარჯვებას. იგი უკვე აღარ იქნება დავის გადაჭრის საშუალება".

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მოუწოდა „შექმნან საერთაშორისო საფუძველი მშვიდობის შენარჩუნებისათვის" და განაცხადა, რომ „ამისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მოიკრიბოს ახალი ძალები და ხელი მოჰკიდოს ახალ ამოცანებს". მისი სიტყვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია „უწინარეს ყოვლისა უნდა განმტკიცდეს გამოჩენილი მოღვაწის არჩევის გზით, რომელიც შეძლებს შეასრულოს გენერალური მდივნის მოვალეობანი".

შეეხო რა განიარაღების პრობლემას, კენედიმ განაცხადა, რომ „ეს უკვე საბჭოთა კავშირის პრობლემა და ამერიკის პრობლემა კი არა, არამედ მთელი კაცობრიობის პრობლემაა". „15 წლის განმავლობაში, — თქვა მან, — ჩვენი ორგანიზაცია ესწრაფვის შეიარაღების შემცირებასა და მოსპობას. ახლა ეს მიზანი უკვე აღარ არის ოცნება. ეს პრაქტიკულად სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. განიარაღებასთან დაკავშირებული საფრთხე იზრდება განუსაზღვრელ გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებულ საფრთხის წინაშე". „ომის იარაღები, — ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა, — უნდა მოისპოს, ვიდრე ისინი მოგვსპობენ ჩვენ".

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე

განიხილა რა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი განცხადება განიარაღების შესახებ მოლაპარაკებისათვის შეთანხმებულ პრინციპებზე, კენედიმ განაცხადა, რომ „ყველა პრინციპული საკითხი როდია გადაჭრილი და რომ მარტოოდენ პრინციპები საკმარისი არაა" და წინადადება წამოაყენა „უნდა წავიდნენ პრინციპების შესახებ შეთანხმების იქით და მიაღწიონ შეთანხმებას ფაქტობრივ გეგმებზე".

ამასთან დაკავშირებით კენედიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები წარუდგენენ გენერალურ ასამბლეას ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამას.

პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა შემდეგი ექვსი პუნქტი „განიარაღების ახალი პროგრამისა", რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აყენებენ:

„ჯერ ერთი, ხელმოწერილ იქნეს ხელშეკრულება იმის შესახებ რომ აიკრძალოს გამოცდა ყველა ქვეყნის მიერ. ეს შეიძლება ახლა განხორციელდეს. მოლაპარაკება გამოცდის შეწყვეტის შესახებ საჭირო არ არის და არც უნდა მოველოდეთ საყოველთაო განიარაღების შესახებ მოლაპარაკებამდე.

მეორე, აიკრძალოს ხლიჩად ნივთიერებათა წარმოება, რომლებიც გათვალისწინებულია იარაღში მათი გამოყენებისათვის, და თავიდან იქნეს აცილებული მათი გადაცემა იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ახლა არა აქვთ ატომური იარაღი.

მესამე, აიკრძალოს ატომური იარაღისადმი კონტროლის გადაცემა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც ახლა არა აქვთ ატომური იარაღი.

მეოთხე, არ დაუშვან ის, რომ ატომურმა იარაღმა წარმოშვას ბრძოლის ახალი ველი კოსმოსურ სივრცეში.

მეხუთე, თანდათანობით მოისპოს არსებული ატომური იარაღი და გამოყენებულ იქნეს ატომური მასალები მშვიდობიანი მიზნებისათვის.

და ბოლოს, აიკრძალოს განუსაზღვრელი გამოცდა და ატომური იარაღის მიზანთან მიტანის სტრატეგიულ საშუალებათა წარმოება, აგრეთვე თანდათანობით მოისპოს ისინი".

იგი ამტკიცებდა, რომ ეს პროგრამა „ითვალისწინებს შეწონასწორებულ და მოფიქრებულ ეტაპებს, რომლებიც ისეა გაანგარიშებული, რომ არ მიეცეს არც ერთ სახელმწიფოს რაიმე სამხედრო უპირატესობა მეორის წინაშე" და რომ „იგი შექმნის მშვიდობის შენარჩუნების აპარატს და მოსპობს ომის იარაღებს". თუმცა კენედიმ განაცხადა, რომ „განიარაღება მარტოოდენ ლოზუნგი არ შეიძლება იყოს". მაგრამ მის მიერ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან, რომლებსაც ეს პროგრამა შეიცავს, ჩანს, რომ იგი არ ითვალისწინებს არც შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების გაუქმებას, არც ატომური და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას, არც სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას სხვის ტერიტორიებზე. პრეზიდენტის გამოსვლიდან ჩანს, რომ ამერიკის განიარაღების პროგრამაში ძირითადი ყურადღება ექცევა ხლიჩადი მასალების წარმოების შეწყვეტასა და კოსმოსურ სივრცეში მოწყობილობათა გაშვებისადმი კონტროლს, თუმცა, როგორც ცნობილია, მარტოოდენ ამ ღონისძიებებს როდი შეუძლიათ უზრუნველყონ საყოველთაო და სრული განიარაღება.

კენედიმ კვლავ მხარი დაუჭირა მოლაპარაკებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ საყოველთაო და სრული განიარაღებისაგან განცალკევებით.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა შემდეგ განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა არ უგულებელყოფს „ტრადიციული კოლონიალიზმის ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებს, რომლებიც კვლავ წამოყენებულია ჩვენი ორგანიზაციის დღის წესრიგში". იგი ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „განზრახული აქვთ იყვნენ არა მარტო მეთვალყურე, არამედ მონაწილე იმ ქვეყნების მშვიდობიანი სწრაფი გადასვლისა თანასწორ პარტნიორთა მდგომარეობაში, რომლებიც ახლა კოლონიები არიან", „თვითგამორკვევის ეს განუწყვეტელი ტალღა თქვა მან, — ჩვენი თანაგრძნობითა და მხარდაჭერით სარგებლობს". მაგრამ კენედის ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, თუ რა პოზიცია უკავიათ შეერთებულ შტატებს კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების პრობლემასთან დაკავშირებულ ისეთ საჭირბოროტო საკითხებში, როგორიცაა ალჟირელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობის მინიჭებისათვის, ანგოლის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, მდგომარეობა სამხრეთ დასავლეთ აფრიკაში. მან გაიხსენა მხოლოდ საფრთხე, რომელიც, მისი აზრით დაემუქრა ლაოსის ხალხს.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკება ლაოსის შესახებ „ახლა გადამწყვეტ სტადიას აღწევს" და განაცხადა: „ჩვენ ვემხრობით ნამდვილად ნეიტრალურ და დამოუკიდებელ ლაოსს, იმას, რომ მისი ხალხი თავისუფალი იყოს გარედან ჩარევისაგან, რომ ადამიანები იქ ცხოვრობდნენ ერთმანეთთან და თავიანთ მეზობლებთან მშვიდობით და დარწმუნებული იყვნენ, რომ მათს ტერიტორიას არ გამოიყენებენ სხვებზე თავდასხმისათვის, ვემხრობით ლაოსს, რომელიც (როგორც ბ-ნი ხრუშჩოვი და მე შევთანხმდით ვენაში) უნდა გაუთანაბრდეს კამბოჯასა და ბირმას".

თავისი სიტყვის ამ ნაწილში კენედიმ დაუშვა უხეში გამოხდომები სოციალისტური ქვეყნების მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო გერმანიის პრობლემას და, კერძოდ, დასავლეთ ბერლინის საკითხს. ისევე როგორც თავის წინანდელ განცხადებებში, იგი ამტკიცებდა, რომ „თუ კი არსებობს სახიფათო კრიზისი ბერლინში, — ეს კრიზისი კი არსებობს, — მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი ინტერესებისა და სერიოზული ვალდებულებებისათვის მუქარის შედეგად, აგრეთვე დასავლეთ ბერლინის თავისუფლებისათვის მუქარის შედეგად. დასავლეთის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს დაიცვან თავიანთი ვალდებულებანი ყოველი საშუალებით, რასაც მათ მისცემენ".

ამავე დროს პრეზიდენტმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „შებოჭილი არ არიან რაიმე მკვეთრი ფორმულებით". „ჩვენ გვწამს, რომ შესაძლებელია საზავო შეთანხმება, რომელიც დაიცავს დასავლეთ ბერლინის თავისუფლებას, მოკავშირეთა ყოფნასა და იქ შესვლას, ამავე დროს ვაღიარებთ სხვათა ისტორიულ და კანონიერ დაინტერესებულობას — უზრუნველყოფილ იქნეს ევროპის უშიშროება, — თქვა ორატორმა. — მოლაპარაკების შესაძლებლობანი ახლა ირკვევა; ახლა ჯერ კიდევ ადრეა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორი იქნება პერსპექტივები. ჩვენის მხრივ, სათანადო მომენტში მოხარული ვიქნებით განვაცხადოთ, რომ გადაჭრა გამონახულია, რადგანაც საჭირო არ არის კრიზისი ბერლინის გამო".

# რენარი შეასრულებს სიმღერას თბილისზე

სკანდინავიაში, საფრანგეთში, კანადაში, ამერიკაში

ფრანგი მომღერლის კოლეტ რენარის კონცერტებს თბილისში დიდი წარმატება ჰქონდა.

კოლეტ რენარი თავისი კონცერტის დასასრულს დიდი შთაგონებით, ღრმა განცდით მღეროდა რევაზ ლაღიძის ცნობილ სიმღერას თბილისზე.

გამგზავრების წინ კოლეტ რენარმა და ორკესტრის დირიჟორმა ცნობილმა ფრანგმა მუსიკოსმა რაიმონდ ლეგრენმა მიიპატიჟეს რევაზ ლაღიძე, კინორეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

კოლეტ რენარი ამბობდა:

„მე ბევრს ვმოგზაურობ, ბევრს ვმღერი, ვმღერი ბავშვობიდან. უნდა გამოგიტყდეთ, ასეთი შესანიშნავი სიმღერა, როგორიც ლაღიძის „თბილისია," იშვიათად შემხვედრია. მე მინდოდა მემღერა რაიმე ქართული, პირველ რიგში ეს თქვენი მსმენელისადმი პატივისცემისა და მადლობის ნიშანი იქნებოდა, მაგრამ როცა გავეცანი ჰიმნს „თბილისზე", ისე გამიტაცა მუსიკამ, მისმა განსაკუთრებულმა მელოდიურმა წყობამ, მისმა ლირიკულმა და ამავე დროს ჰეროიკულმა იერმა, რომ მე უკვე აღარ შემეძლო ის არ მემღერა და ეს სიმღერა მუდამ დარჩება ჩემს რეპერტუარში, როგორც სამკაული რამ მარგალიტი. სულ მალე რევაზ ლაღიძის „თბილისი" მსოფლიოში უსაყვარლესი სიმღერა გახდება. მე მას ვიმღერებ სკანდინავიაში, რასაკვირველია, საფრანგეთში, კანადაში, ამერიკაში, სადაც ამ ზამთარს მივემგზავრები. ვიცი, მას ჩაწერენ ფირფიტებზე, რადგან ეს სიმღერა უაღრესად ეროვნულია და ალბათ ამიტომ ზოგადკაცობრიულიც. სხვა რომ არა იყოს რა, ამ სიმღერის საპოვნელად ღირდა თბილისში ჩამოსვლა".

შემდეგ რაიმონდ ლეგრენმა დასძინა:

„ამ სიმღერას საქართველოს, თქვენი მიწის გემო აქვს, აი როგორც ამ „მუკუზანს" და „ნაფარეულს". მაგრამ „სიმღერა თბილისზე" მალე გასცდება თავისი სამშობლოს საზღვრებს და აჟღერდება მთელ მსოფლიოში. ამ კეთილშობილურ საქმეში კოლეტს ყოველმხრივ შევუწყობ ხელს. ვეცდები „თბილისი" ფირფიტებზე ჩაწეროს საფრანგეთის საუკეთესო დიდმა ორკესტრმა და ორკესტრთან ერთად იმღეროს კოლეტმა. „სიმღერა თბილისზე" კოლეტს ისე შეუყვარდა, რომ სულ იმას ღიღინებს. საერთოდ ქართულმა მუსიკამ ჩვენ აღგვაფრთოვანა".

„ჩვენ აქ ბევრს ვმუშაობდით, — თქვა კოლეტ რენარმა, ცოტა რამ ვნახეთ, მაგრამ რაც ვნახეთ —თბილისი, მცხეთა, მისი ძეგლები, მამულაშვილის განუმეორებელი სილამაზის ბაღი, — ყველაფერი ესშესანიშნავი, ლამაზი და კეთილია".

ბოლოს კოლეტ რენარმა მთხოვა ეს სურათი პატარა წარწერით „კომუნისტის" მკითხველებისათვის მიმეწვდინა.

აი ეს წარწერაც:

ჩემს მეგობარ თბილისელ მსმენელებს და ამ გაზეთის მკითხველებს. ღიმილით კოლეტ რენარი.

ვლ. მაჭავარიანი.




კოლეტ რენარი

# საერთაშორისო ცხოვრება

დღევანდელი ამბები

# მეჯლისის არჩევნების წინ

ანკარა, 26 სექტემბერი. (საქტასი). 24 სექტემბერს თურქეთში ოფიციალურად დაიწყო მეჯლისის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია. ოთხი დიდი პარტია ჩაება ბრძოლაში დეპუტატის მანდატებისათვის თურქეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. მათ შორის არის სახალხო-რესპუბლიკური პარტია, რომელიც ხელისუფლების სათავეში იყო თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების მომენტიდან 1950 წლამდე. მის სათავეში დგას თურქეთის უხუცესი პოლიტიკური მოღვაწე ისმეთ ინენიუ, რომელსაც წარსულში ეკავა რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის პოსტები. მისი მეტოქეები არჩევნებში იქნებიან რესპუბლიკის გლეხთა ეროვნული პარტია, აგრეთვე ამ ცოტა ხნის წინათ შექმნილი „ახალი თურქეთის პარტია", რომელსაც სათავეში უდგას ყოფილი ფინანსთა მინისტრი ექრემ ალიჯანი და „სამართლიანობის პარტია", რომლის დამაარსებელია გადამდგარი გენერალი რაგიბ გიუმიუშპალა.

მეჯლისის არჩევნები გაიმართება 1961 წლის 15 ოქტომბერს.

# სავალალო შედეგები

თეირანი, 26 სექტემბერი. (საქტასი). აჯამებს რა ირანის პრემიერ-მინისტრის ალი ამინის ოთხი თვის საქმიანობის შედეგებს, გაზეთი „აჯანგი" წერს, რომ, მიუხედავად მრავალი დაპირებისა, ირანის მთავრობას არაფერი არ გაუკეთებია. „ეკონომიურმა კრიზისმა ირანში უმაღლეს წერტილს მიაღწია. საზოგადოებრივი თავისუფლებები კიდევ უფრო შეზღუდულია... ამინის მომხრეებს შორის უთანხმოება და არეულობაა...", — წერს გაზეთი.

გაზეთი „დონია" იუწყება, მთელი რიგი ქარხნების დახურვისა და გაკოტრების მრავალ შემთხვევას. ირანის ფინანსური მდგომარეობა, წერს „დონია", იმდენად ცუდია, რომ სამშენებლო სამუშაოები ყველგან შეწყდა. მთავრობას იმის ფულიც კი არა აქვს, რომ დაამთავროს საავადმყოფოების მშენებლობა.

## ინგრევა ეკონომიური დივერსიის ბუდეები

დასავლეთ ბერლინი, 25 სექტემბერი. (საქტასი). გაზეთ „დერ აბენდის" ცნობით, სექტემბრის დამლევს დასავლეთ ბერლინში დაიხურება 47 უკანასკნელი ფულის გადასაცვლელი კონტორა — „ვექსელშტაუბე", რომლებიც ვალუტის სპეკულაციას ეწეოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზიანოდ. ამ კონტორების საქმიანობას, რომლებიც არსებითად წარმოადგენდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ეკონომიური დივერსიის საშუალებას, ბოლო მოეღო იმის შედეგად, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დემოკრატიული ბერლინის საზღვრებზე განახორციელა უფრო მკაცრი კონტროლის ღონისძიებანი.

# მენსფილდი აღიარებს

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საქტასი), გამოვიდა რა გუშინ სატელევიზიო პროგრამით „კითხვა-პასუხი", დემოკრატების ლიდერმა სენატში მენსფილდმა, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, გამოთქვა აზრი, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა დე-ფაქტო „შეიძლება ითქვას გარდუვალია".

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტთან საუბარში, რომელიც გაიმართა სატელევიზიო პროგრამით მისი გამოსვლის შემდეგ, მენსფილდმა აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „ყოველგვარი ცნობა დე-ფაქტო, როგორც ჩანს, არ ამოიწურება აღმოსავლეთ გერმანიასა და დასავლეთ გერმანიას შორის სავაჭრო ურთიერთობების გადიდებით და, ალბათ გამოიწვევს რაღაც ნაბიჯებს შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ".

# მეგობრებთან...

ბათუმი. (საქ. კორ.). ამ დღეებში ბათუმის რაიონის მშრომელთა დელეგაცია თბომავალ „როსიათი" გაემგზავრა ხერსონის ოლქის ბელოზერკის რაიონში, რათა შეაჯამონ ამ ორ რაიონს შორის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან რაიონის მოწინავე მეჩაიეები, მეციტრუსეები, თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატები, სულ 7 კაცი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები ბელოზერკელ თანამოსაქმეებთან ათ დღეს დაჰყოფენ. ისინი გაეცნობიან მოწინავე მეცხოველეთა მდიდარ გამოცდილებას, გაუზიარებენ თავიანთ მიღწევებს.

# ქართველი მეომრების მამაცობა

## შემთხვევა ტბაზე

ეს ამბავი ხარკოვის ოლქში მოხდა. ზაფხულის თბილი, მზიანი დღე იყო.

14 წლის ოლია კუზნეცოვა ქალაქის მახლობლად მდებარე ტბაზე ცურვას სწავლობდა. ხელში ერთმეტრიანი ფიცარი ეჭირა და ნაპირიდან ნელნელა მიცურავდა. და აი შეუმჩნევლად ტბის შუაგულში შეცურა. უეცრად გოგონამ ნაპირისაკენ მოიხედა, შიშმა შეიპყრო და ფიცარი ხელიდან გაუსხლტა. ოლიამ რამდენჯერმე შემზარავად დაიყვირა. შველას ითხოვდა.

ამ დღეს ტბაზე მორიგეებად დანიშნული იყვნენ ქართველი მეომრები გურამ მარღანია და ამირან პატარაძე.

მათ ყური მოჰკრეს ყვირილს და სირბილით თავქვე დაეშვნენ. დიდხანს არ უფიქრიათ. ამირანმა სწრაფად გაიძრო ტანსაცმელი და წყალში გადაეშვა. მას გურამიც მიჰყვა.

ოლია კი უკანასკნელ ძალებს იკრებდა, ამაოდ წვალობდა, უძლურად ასავსავებდა ხელებს. წუთიც, და ამირანმა მხარზე გადაიკიდა გრძნობადაკარგული გოგონა, მეგობარიც მიეშველა და ოლია კუზნეცოვა ძლივძლივობით ნაპირზე გამოიყვანეს.

იქვე პირველი დახმარება აღმოუჩინეს და ნახევარი საათის შემდეგ ოლია მოსულიერდა, ალაპარაკდა.

ნორჩი სიცოცხლის გადარჩენისათვის ა. პატარაძესა და გ. მარღანიას ასეულის მეთაურმა მადლობა გამოუცხადა.

ეფრეიტორი ნ. ყულიაშვილი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

# დაკარგული ორი ქულა

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში.

ადგილობრივი „სპარტაკი" შეხვდა ერთ-ერთ მის ძველ მეტოქეს თბილისის „დინამოს".

თამაშის მე-12-ე წუთზე სპარტაკელთა ნახევარდამცველი ნეტო ხსნის ანგარიშს. გადის წუთები. დინამოელები უტევენ მოსკოველთა კარს და 24-ე წუთზე მესხის ჩაწოდებულ ბურთს კალოევი თავით გზავნის მოწინააღმდეგის კარში — 1:1. 88-ე წუთზე თბილისელთა მარჯვენა გარემარბი მელაშვილი ძლიერი დარტყმით ზრდის ანგარიშს — 2:1. პირველი ნახევარი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც სპარტაკელმა მუსაინოვმა გაათანაბრა ანგარიში.

მეორე 45 წუთში თბილისელებს ბევრი კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ ანგარიშის გაზრდისა, მაგრამ ვერ გამოიყენეს. განსაკუთრებით დაძაბულად მიმდინარეობდა ბოლო 15 წუთი.

დარჩენილ დროში მუსაინოვმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა და მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 3:2.

კომუნისტი სპორტი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 სექტემბრისათვის

I-X ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მ.) | 25 | 18 | 2 | 5 | 61:27 | 88 |
| „დინამო" (კ.) | 25 | 15 | 7 | 3 | 48:22 | 37 |
| „სპარტაკი" (მ.) | 25 | 15 | 5 | 5 | 52:28 | 35 |
| ცსკა | 25 | 15 | 3 | 7 | 57:38 | 33 |
| „ლოკომოტივი" (მ.) | 24 | 11 | 9 | 4 | 43:29 | 31 |
| „დინამო" (თბ.) | 25 | 12 | 6 | 7 | 46:28 | 30 |
| „სპარტაკი" (ერ.) | 25 | 9 | 9 | 7 | 34:34 | 27 |
| „ავანგარდი" (ხ.) | 25 | 10 | 7 | 8 | 24:24 | 27 |
| „პახტაკორი" (ტ.) | 24 | 10 | 6 | 8 | 36:46 | 26 |
| სკა (რ.) | 25 | 10 | 5 | 10 | 47:30 | 25 |

## სსრ კავშირის პირველობაზე

I-X ადგილები

**გუშინ** გაიმართა კიდევ სამი მატჩი ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის „ა" კლასის გუნდებს შორის.

**ტაშკენტში** ადგილობრივმა „პახტაკორმა" მიიღო ხარკოვის „ავანგარდის" გუნდი. მატჩის შედეგია 3:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

**კიევის** ცენტრალურ სტადიონზე ადგილობრივი „დინამო" შეხვდა მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს. სპორტულად საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ 2:2.

**ერევნის** „სპარტაკმა" თავის მოედანზე მორიგი მატჩი გამართა როსტოვის არმიელებთან. შეხვედრა მოიგეს როსტოველებმა — 5:2.

## ლიდერობენ ტალი და ფიშერი

**გუშინ** იუგოსლავიის ქალაქ ბლედში გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-15 ტური. კერესმა მოუგო უდოვჩიჩს, გლიგორიჩმა — ბერტოკს, ყაიმით დამთავრდა პორტიშ-ფიშერისა და ტრიფუნოვიჩ-პეტროსიანის პარტიები. ტალ-ბისჰაიერის პარტია გადაიდო.

15 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასეთნაირად გამოიყურება:

ტალს და ფიშერს აქვთ 10-10 ქულა და თითო გადადებული პარტია, გლიგორიჩსა და კერესს — 9,5-9,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, პეტროსიანს — 8,5 ქულა და ორი გადადებული პარტია.

თბილისის ეკრანი

27 სექტემბერი

**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — აიდა (მე-5 აბონ. 1 წარმ.), რუსთაველის სახელობის — ფიროსმანი, მარჯანიშვილის სახელობის — მღელვარე დღეები, გრიბოედოვის სახელობის — მესამე სიტყვა, ხანკულტურის — კურდღელი, თოჯინების ქართული — შვლის ნუკრი (11 ს.), ფაფარა (2 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — ქალთა სავსტრადო ორკესტრი — რ. რომანოვის ხელმძღვანელობით.

**ტელევიზია:** 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.20 — განცხადებები, 18.30 — გადაცემა, მიძღვნილი საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისადმი — „შენთვის, ჩემო სამშობლოვ", 18.45 — გადაცემა ციკლიდან „პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად" — კინონარკვევი „მათი წვლილი შვიდწლედში", 19.05 — ლიტერატურული კომპოზიცია „ნათელი გზა", 19.30 — კინონარკვევი, 20.00 — ახალი ამბები, 20.15 — მხატვრული ფილმი „მთავრობის წევრი".

უე 05666
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.